პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 71 (11682) | პარასკევი, 25 მარტი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

პარიზი მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვს

პარიზი, 23 მარტი. (საკადესი). ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს თავის რეზიდენციაში საგარეო საქმეთა სამინისტროს სასახლეში მიიღო ასოციაცია „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ დელეგაცია გენერალ პეტის მეთაურობით. მასთან ერთად საბჭოთა მთავრობის მეთაურის მისასალმებლად მოვიდნენ პროფესორი ლაკასანი, პარტიის „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის“ საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე შმიტლენი, ლაბეირი, ლე ლეპი, პიერარი, ქ-ნი კოტონი, ადვოკატი ბლუმელი, პოლ ბონკური, ელენ ლანეევენი (განსვენებული ფრედერიკ ჟოლიო-კიურის ქალიშვილი), ყან კაზალბუ და ასოციაციის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

გენერალი პეტი მოკლე სიტყვით გულითადად მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლას საფრანგეთში და დიდი კმაყოფილება გამოთქვა ყველა ფრანგის სახელით, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში იბრძვიან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა საპასუხო სიტყვაში გამოთქვა სახელოვანი ფრანგი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების მეგობრობისა და პატივისცემის ღრმა გრძნობები.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს ტაშით შეხვდნენ.

ასეთივე გულითადი იყო საბჭოთა მთავრობის მეთაურის შეხვედრა საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს ემანუელ დ' ასტე დე ლა ვიუერი, და იმ საპარლამენტო დელეგაციის ზოგიერთ წევრთან, რომელმაც საბჭოთა კავშირი ინახულა. [illegible] ნ. ს. ხრუშჩოვს, დ'ასტიე დე ლა ვიუერიმ ხაზგასმით აღნიშნა თავდაპირველი [illegible] რომელიც მან შეასრულა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, დაუცხრომლად ეწეოდა რა ბრძოლას ცივი ომის შეწყვეტისათვის, სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის.

მიმართა რა დელეგაციის წევრებს, ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრძოლა მშვიდობისათვის ამჟამად ყველაზე მთავარი ამოცანაა.

საფრანგეთ-სსრ კავშირის მეგობრობა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

საზოგადოება „საფრანგეთ—სსრ კავშირის“ წარმომადგენლებთან შეხვედრაზე

ძვირფასო მეგობრებო!

დიდად, ადამიანურად მსიამოვნებს და მაღელვებს ეს გულთბილი შეხვედრა, რომელიც არ არის შებოჭილი დიპლომატიური ოქმის რაიმე პირობითობით. მერწმუნეთ, თქვენ შორის ახლა ისე ვგრძნობთავს, როგორც ადამიანი, რომელიც ძველ ერთგულ მეგობრებს შეხვდა და გულითადად უნდა ესაუბროს.

დიდ სიამოვნებას მგვრის პირადად შეხვედრა თქვენთან, გენერალო პეტი, და საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან და აქტივისტებთან. დიდ და კეთილშობილურ საქმეს აკეთებთ თქვენ, მეგობრებო. ვიცი, რომ თქვენთვის ყოველთვის ადვილი როდია ეს საქმე, სანამ ჯერ კიდევ სულ არ გამდნარა „ცივი ომის“ ყინულები, სანამ აქა-იქ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ბრაზიანი, ღვარძლიანი ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი ამ ქვეყნად შავბნელად ეჩვენებათ და უნდობლად წრიპინებენ: „რა არის ხალხთა მეგობრობა და რა საჭიროა იგი? ღმერთმა ნუ ქნას, აქ აფეთქებას ხომ არ გვიპირებენო“.

ამ მხრივ თქვენი კოლეგები საბჭოთა საზოგადოება „სსრ კავშირ-საფრანგეთიდან“, რა თქმა უნდა, განუზომლად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან, მათ არავინ უყურებს ალმაცერად და ყოველ შემთხვევაში ხელს არავინ უშლის. ერთადერთი პრეტენზია, რომელსაც მათ უყენებს საზოგადოებრიობა, ხოლო მეც ამ საზოგადოებრიობას ვაკუთვნებ თავს როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ის არის, რომ მათ ეუბნებიან: „უფრო ფართოდ გაშალეთ თქვენი საქმიანობა! კიდევ უფრო გაგვაცანით ფრანგული კულტურა და მეცნიერება.!“ მაშ იქედი ვიქნებოთ, რომ საფრანგეთშიც თქვენი საზოგადოების საქმიანობა კიდევ უფრო აქტიურ მხარდაჭერას პოვებს ქვემოდანაც და ზემოდანაც, რომ თქვენს საზოგადოებას კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიეცემა და რომ მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინო მოღვაწე.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ თქვენი საზოგადოების და ჩვენში შექმნილი საზოგადოება „სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საქმიანობის დიდი მნიშვნელობა. ერთიმეორის ახლო გაცნობა და მეგობრული კონტაქტები საზოგადოებრიობის ხაზით, უეჭველია, არსებითად ავსებს კულტურულ გაცვლას, რაც ხდება სახელმწიფოს ხაზით, და ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის იმ ატმოსფეროს შექმნას, რომელიც ესოდენ საჭიროა საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაუმჯობესებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პირობების უზრუნველყოფისათვის.

პატივცემულ გენერალ პეტის, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა თქვენი საზოგადოების შექმნაში და წარმატებით ხელმძღვანელობს მას მრავალი წლის მანძილზე, კარგად იცნობენ სსრ კავშირში როგორც მამაც პატრიოტსა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მტკიცე მომხრეს. ჩვენ გვახსოვს, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში, თქვენ, ძვირფასო გენერალო, მეთაურობდით საფრანგეთის სამხედრო მისიას მოსკოვში და ყოველ ღონეს ხმარობდით ჩვენი ქვეყნების საბრძოლო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

საფრანგეთის სტუმართმოყვარეობა კარგად არის ცნობილი. განსაკუთრებით ნასიამოვნები ვარ მეგობრობისა და სიმპათიის გამოთქმით, რასაც შეიცავს „ოქროს წიგნი“, რომელიც მე მიძღვენით და რომელსაც ხელს აწერენ სულ სხვადასხვა შეხედულებისა და რწმენის ფრანგი ქალები და მამაკაცები. ეს წიგნი მიმაჩნია ფრანგი ხალხის მშვიდობისმოყვარეობისა და საბჭოთა კავშირთან ტრადიციული მეგობრობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისადმი მისი მისწრაფების სიმბოლოდ.

საბჭოთა ადამიანები თავიანთ მხრივ დიდი მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობით ეპყრობიან სახელოვან ფრანგ ხალხს. ჩვენი ხალხების ურთიერთ სიმპათიას ღრმა ფესვები და დიდი ხნის ტრადიციები აქვს.

ჩვენი კულტურები ძველთაგანვე განიცდიდნენ ურთიერთგავლენას და ჰუმანიზმისა და დემოკრატიის დიადი იდეებით ამდიდრებდნენ ერთიმეორეს. ფრანგულ კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურას ჩვენს ქვეყანაში კარგად იცნობენ და უყვართ. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენში გამოიცა სხვადასხვა ავტორის 4.500-ზე მეტი ფრანგული წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 175 მილიონ ცალს აღემატება. ჩვენს ქვეყანაში ფართო პოპულარობით სარგებლობს ფრანგული მუსიკა. ფერწერის ფრანგ ოსტატთა ტილოები ამშვენებენ ჩვენი მუზეუმების დარბაზებს. ხელოვნების საბჭოთა მოყვარულნი სიამოვნებით გაეცნენ საფრანგეთის მთელი რიგი თეატრალური დასების ოსტატობას. ჩვენ გვსიამოვნებს, რომ ჩვენი მსახიობების გამოსვლებსაც დიდი წარმატება აქვს საფრანგეთში.

ჩვენს ქვეყნებს შორის ძველთაგანვე არსებობს ორივე მხარისათვის ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობა. შეიძლება მხოლოდ გვიხაროდეს მათი წარმატებითი განვითარება ამჟამად. არსებობს მათი შემდგომი გაფართოების მდიდარი შესაძლებლობანი. ჩვენს ქვეყნებს ბევრი რამ შეუძლიათ ისწავლონ ერთიმეორისაგან მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას მისი შექმნის პირველი დღიდანვე საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი, რომელიც გულისხმობს სრულ უარს ომზე, როგორც სადავო საკითხთა გადაჭრის საშუალებაზე, და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობას. ეს პრინციპი აგრეთვე გულისხმობს, რომ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას საფუძვლად უნდა დაედოს მხარეთა სრული თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა.

ამაზე ზოგჯერ გვიპასუხებენ: კი, მაგრამ თქვენ უარს ამბობთ მოგვცეთ გარანტია, რომ კომუნიზმი არ გადმოსცილდება თქვენს საზღვრებს და არ გავრცელდება არაკომუნისტურ სამყაროში! რაც მართალია, მართალია: ასეთი გარანტიის მოცემა ჩვენ არ შეგვიძლია. როგორც შესანიშნავად თქვა განსვენებულმა ჟოლიო-კიურიმ, იდეები უვიზოდ მოგზაურობენ, და ჯერ არ დაბადებული ისეთი ადამიანი, რომ შეეძლოს უბრძანოს ადამიანის აზრს, „მოკვდიო“, და იგი ნამდვილად მოკვდეს. აქვე უნდა ითქვას, რომ კომუნიზმის იდეები ჩვენს ქვეყანაშიც უვიზოდ შემოვიდა, ამასთან ეს იდეები, კერძოდ, პარიზის ზენთ მოდიოდა — მარქსი და ენგელსი ნაყოფიერად მუშაობდნენ აქ ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე. იმ დროს ამბობდნენ. ევროპაში კომუნიზმის აჩრდილი დადისო. შეითვისა რა კომუნისტური იდეები, ჩვენმა ხალხმა ცოცხალ რეალობად, დიად პრაქტიკულ საქმედ აქცია ისინი.

ჩვენ ფარისევლები არა ვართ და ამიტომ გულახდილად გამბობთ: დიახ, ჩვენ გვწამს კომუნიზმის იდეები, გვწამს, რომ ეს იდეები გაიმარჯვებენ. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს გვწამს, ვიბრძოლით და ვიბრძვით იმის წინააღმდეგ, რომ რომელიმე სოციალური სისტემა ძალით გავრცელდეს. ჩვენ მოვითხოვდით და მოვითხოვთ: მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს პრაქტიკულად, ნუ ჩავერევით ერთიმეორის საქმეებში, მოდით საქმით დავამტკიცოთ, ვისი სისტემა სჯობს, ვისი სისტემა ანიჭებს ადამიანს მეტ მატერიალურ და სულიერ სიკეთეს, ვისი სისტემა უზრუნველყოფს ხალხის მეტ თავისუფლებას! დაე ხალხებმა გადაწყვიტონ, რომელი სისტემა სჯობს.

ისტორიკოსებს კარგად ახსოვთ, რომ საუკუნენახევრის წინ ევროპაში შეიქმნა სიტუაცია, რომელიც რამდენადმე ახლანდელს მოგვაგონებს. მაშინ მოწინავე იდეების შუქი რევოლუციური საფრანგეთიდან მოდიოდა, ხოლო მეზობელი სახელმწიფოების ფეოდალები წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ მის იდეებს. ამ იდეათა მიმდევრებს სასტიკად სდევნიდნენ. მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის დიადი იდეები გზას იკაფავდნენ ახალ და ახალ ადამიანთა გულში.

საგულისხმოა, რომ რუსეთის მეფეები, რომლებსაც ამ იდეებისა ისე ეშინოდათ, როგორც ცეცხლისა, ფარულად თვითონ კითხულობდნენ აკრძალულ წიგნებს, ცდილობდნენ ეპოვნათ რაიმე საშუალება ამ შხამის წინააღმდეგ, მაგრამ ხალხს ცხრაკლიტულში უმალავდნენ ამ იდეებს. ეკატერინე მეორეს აქტიური მიწერ-მოწერაც კი ჰქონდა ფრანგ განმანათლებლებთან, ხოლო როცა ვოლტერი გარდაიცვალა, მეფის კარმა ასწრაფოდ შეიძინა მისი ბიბლიოთეკა და შორს გადამალა. ეს წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეს ბიბლიოთეკა არ უნახავს მკითხველის თვალს, და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მონახეს იგი, მოიყვანეს წესრიგზე და გადასცეს მეცნიერ ლიტერატურათმცოდნეებს, როგორც ძვირფასი განძი.

მაგრამ რა დაბრკოლებაც უნდა შეექმნათ ფეოდალებს საფრანგეთის რევოლუციის იდეათა გავრცელების გზაზე, ეს იდეები ძლევამოსილად ვიდოდნენ ევროპაში.

ყოველივე ეს დღესაც უნდა გვახსოვდეს.

კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ქვეყნების ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი სულ უფრო მტკიცედ იკაფავს გზას და გადალახავს „ცივი ომის“ ყოველნაირ ზღუდეებს. საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების კონკრეტული გამოხატულებაა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აქ, პარიზში, მოეწყოს თათბირი უმაღლეს დონეზე. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ თათბირით დაიწყება დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა არაერთი დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკების სერია იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღოს „ცივი ომის“ დრომოჭმულ პოლიტიკას.

ჩვენ მოვედით თქვენს ქვეყანაში იმ უაღრესად მხურვალე სურვილით, რომ მივაღწიოთ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას და დავაახლოოთ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მთავრობათა თვალსაზრისები საერთაშორისო საკითხებზე. რომლებიც დღეს მსოფლიოს ყველა ხალხს აღელვებენ.

გარდა ოფიციალური მოლაპარაკებისა, ჩვენ მოგველის დიდი მოგზაურობა საფრანგეთში. ეს მოგზაურობა, ჩვენ იმედი გვაქვს, საშუალებას მოგვცემს ნამდვილი კონტაქტი დავამყაროთ ფრანგ ხალხთან.

მაშ ნება მიბოძეთ დასასრულ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა კავშირის ყველა მეგობარს საფრანგეთში გისურვოთ პირადი ბედნიერება და ახალი წარმატებანი.

გაუმარჯოს საფრანგეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას!



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი პარიზში. **სურათზე:** ნ. ს. ხრუშჩოვი ელისეს სასახლეში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შ. დე გოლს გადასცემს იმ ალმის პირს, რომელიც მთავრეზე საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მიიტანა.

სურათი „იზვესტიის“ სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ს. სმირნოვისა.

ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში

პარიზი, 24 მარტი. (საკადესი). დღეს 10 საათზე და 00 წუთზე ადგილობრივი დროით საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დატოვა თავისი რეზიდენცია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სასახლეში, რომელზეც ფრიალებს საბჭოთა კავშირის დიდი სახელმწიფო ალამი, და საპატიო ესკორტის თანხლებით გაემართა ელისეს სასახლეში პრეზიდენტ დე გოლთან მოსალაპარაკებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ამინდი გაფუჭდა და წვიმდა, სენის სანაპიროზე საგარეო საქმეთა სამინისტროს სასახლის პირდაპირ შეიკრიბა ხალხი, რომელიც გულითადად მიესალმებოდა ნ. ს. ხრუშჩოვს რეზიდენციიდან გამოსვლისას. პარიზელები, რომლებიც აქნევდნენ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ალმებს, ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ტაშით და შეძახილებით:

„გაუმარჯოს ხრუშჩოვს!“

10 საათსა და 03 წუთზე ავტომანქანა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმით ელისეს სასახლეში მივიდა.

12 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ელისეს სასახლიდან გამოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან შ. დე გოლთან საუბრის შემდეგ და თავის რეზიდენციაში გაემართა.

მოკლე დასვენების შემდეგ საბჭოთა მთავრობის მეთაური და მისი თანმხლები პირები გაემართნენ საფრანგეთის მთავრობის მეთაურის რეზიდენციაში „ოტელ მატინიონში“, სადაც საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მ. დებრემ საუზმე გამართა საპატიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად. მიუხედავად ცუდი ამინდისა (დღეს დილიდან პარიზში წვიმს), პარიზელები, რომლებიც ჩამწკრივებული იყვნენ სენის სანაპიროზე, მიესალმებოდნენ ავტომანქანების მწკრივს შეძახილებით „გაუმარჯოს ხრუშჩოვს!“, აქნევდნენ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ალმებს.

ნ. პ. ხრუშჩოვამ ინახულა პარიზის საავადმყოფო

პარიზი, 23 მარტი. (საკადესი). დღეს დღის მეორე ნახევარში ნინო პეტრეს ასულმა ხრუშჩოვამ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლის ქალბატონ დე გოლის თანხლებით ინახულა პარიზის საავადმყოფო „ნეკერის“ ბავშვთა განყოფილება.

საავადმყოფოს ნახვისას ნ. პ. ხრუშჩოვას ახლდა საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი შენო. ახსნა-განმარტებას იძლეოდა ამ საავადმყოფოს ბავშვთა კლინიკის დირექტორი პროფესორი კატალა.

ნ. პ. ხრუშჩოვამ დაათვალიერა ბავშვთა ოთხი პალატა, ბაგები და ლაბორატორიები. სამკურნალოდ მყოფმა ბავშვებმა ნ. პ. ხრუშჩოვასა და ქალბატონ დე გოლს ყვავილთა თაიგულები მიართვეს. განყოფილების სამედიცინო პერსონალი გულთბილად მიესალმა ნინო პეტრეს ასულ ხრუშჩოვას.

საქართველოს პროფესიულ კავშირთა X ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება რესპუბლიკის პროფესიულ კავშირთა X ყრილობას და მისი სახით პროფკავშირთა ყველა წევრს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს.

პროფკავშირთა მთელი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი აღმავლობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლასთან, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების ამოცანებთან.

ახოციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის დეკემბრის პლენუმისა და პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები ახლა უფრო აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, უფრო ღრმად და უკეთესად ზრუნავენ წარმოების, სოციალისტური შეჯიბრების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების საკითხების მოწესრიგებისათვის, ფართოდ ჩააბეს მშრომელები წარმოების მართვაში, ენერგიულად იბრძვიან მუშებისა და მოსამსახურეების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

პროფკავშირების მუშაობის გაუმჯობესება, რესპუბლიკის ცხოვრებაში მათი როლის ამაღლება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მხრივ ყოველდღიური ხელმძღვანელობის, დიდი დახმარების, მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების შედეგია.

თანამედროვე პირობებში, როდესაც პროფესიულ კავშირთა უფლებები გაფართოვდა და ბევრი ფუნქცია, რომლებსაც ახლა სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ, თანდათანობით გადადის მათს გამგებლობაში, სულ უფრო იზრდება საბჭოთა პროფკავშირების, როგორც მართვისა და მეურნეობის გაძღოლის სკოლის, როგორც მასების მებრძოლი ორგანიზატორის მნიშვნელობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები კვლავაც მთელი ენერგიით იბრძოლებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის, უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ხელს შეუწყობენ პარტიას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შვიდწლიანი გეგმისა და 1960 წლის — შვიდწლედის მეორე წლის — დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის მათი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციაში.

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

გავაუმჯობესოთ პროფესიული კავშირების მუშაობა, ავამაღლოთ მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში

საქართველოს პროფკავშირთა X ყრილობა

საბჭოთა პროფკავშირების მთელი მუშაობა განუყოფლად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან, მის გმირულ ბრძოლასთან მუშათა კლასის იმპერიალიზმისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის. პროფკავშირი კომუნისტური პარტიის სამეფო თანაშემწეა, განუხრელად ახორციელებს მის პოლიტიკას, აკავშირებს პარტიას მშრომელთა ფართო მასებთან.

პარტიის დიად წინასწარდასახულობათა შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციებს — საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ერთ-ერთ მოწინავე რაზმს. საქართველოს პროფკავშირთა X ყრილობაზე, რომელიც 24 მარტს გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, მოწოდებულია განიხილოს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციის არსებითი ამოცანები იმ საქმეში, რომ მშრომელთა ფართო მასების ძალღონე წარმართოს სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შვიდწლიანი გეგმისა და 1960 წლის — შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად.

სხდომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე დარბაზი ხალხით ივსება. ყრილობას ესწრებიან საქართველოს პროფკავშირების წევრთა რვაას ოცდაორათასიანი რაზმის წარმომადგენლები. დელეგატთა შორის არიან რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, სახელოვანი მუშათა კლასის, ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის მშვენება და სიამაყე. ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავები, ორდენები და მედლები.

ყრილობა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დავალებით გახსნა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **შ. მ. ლელაშვილმა.**

ყრილობის პრეზიდიუმში ერთხმად ირჩევენ **ვ. პ. მეკავანაძეს, გ. დ. ჯავახიშვილს, გ. ხ. ძოწენიძეს, პ. ვ. კოვანოვს, გ. ი. ქადაგიძეს, ი. ხ. დოლიძეს, ფ. დ. დუმბაძეს, მ. ი. კუპავას, კ. ნ. გალიცკის, ა. ნ. ინაურს, გ. ა. გეგეშიძეს, ი. გ. რთველიაშვილს, უ. ა. შევარდნაძეს,** საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს **ტ. ნ. ნიკოლაევას,** თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორს **გ. ა. ბოგვერაძეს,** ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალს **ა. ხ. ბოჭორიშვილს,** თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ხარატს **პ. პ. ზუბრიცკის,** ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს **გ. ხ. ხიგუას,** ტყვარჩელის № 5 შახტის მნგრეველ-მტვირთავთა ბრიგადის ხელმძღვანელს **დ. შ. ზუხბას,** ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მნგრეველს **შ. ვ. კუბლაშვილს,** გეჯათის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჩაის მკრეფავს **პ. გ. კილასონიას,** თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშას **ხ. მ. დიაროვას** და სხვებს.

დელეგატებმა განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღეს წინადადება, რომ საპატიო პრეზიდიუმში აერჩიათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში დიდხანს არ ცხრება მქუხარე ტაში.

ყრილობა ირჩევს სამანდატო კომისიას, სამდივნოსა და სარედაქციო კომისიას.

ამტკიცებენ შემდეგ დღის წესრიგს:

1. ანგარიში საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის შესახებ.
2. ანგარიში საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.
3. არჩევნები:
   ა) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსი,
   ბ) სარევიზიო კომისიისა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ი. ხ. დოლიძეს.** იგი კითხულობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საქართველოს პროფკავშირთა X ყრილობისადმი.

ყრილობა იწყებს დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. თავმჯდომარე — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ი. პ. ხეთაგური** საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს **მ. შ. ლელაშვილს.**

იგი ამბობს, რომ ყრილობა შეიკრიბა დიდმნიშვნელოვან დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი სიყვარულით ემზადება აღნიშნოს კომუნისტური პარტიის დიდი ორგანიზატორისა და ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი მასწავლებლისა და მეგობრის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 90 წლისთავი.

საბჭოთა ხალხმა ვ. ი. ლენინის სახელით დაადგა რა მის მიერ ნაჩვენებ გზას, შემოქმედებითად განავითარა და განახორციელა რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიაში უმაგალითო წარმატებებს მიაღწია.

მომხსენებელს მოჰყავს მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ იმ შრომითს გამარჯვებებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა შვიდწლედის პირველ წელს. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის, მისი ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის მეოხებით მოპოვებულ ამ გამარჯვებებში საქმაოდ დიდი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა პროფკავშირებს — მშრომელთა ყველაზე მასობრივ ორგანიზაციას.

საქართველოს პროფესიული კავშირები, რომლებსაც ყოველდღიურად ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, თავიანთ X ყრილობას შეხვდნენ ისე, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილი არიან ორგანიზაციულად და განმტკიცებულნი პოლიტიკურად, მჭიდროდ არიან დარაზმულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო. ისინი მზად არიან შეუპოვრად იბრძოლონ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის.

მომხსენებელი დაწვრილებით აშუქებს

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ-ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ—ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 23 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). საღამოს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გენერალმა შარლ დე გოლმა ელიესეს სასახლეში სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და საბჭოთა დელეგაციის წევრების პატივსაცემად, რომლებიც საფრანგეთში ჩამოვიდნენ მეგობრობისა და კეთილი ნების სახელმწიფო ვიზიტით. სადილზე იყვნენ აგრეთვე საფრანგეთის მთავრობის წევრები, საფრანგეთის პოლიტიკური და საქმიანი წრეების წარმომადგენლები — სულ დაახლოებით 200 კაცი.

გენერალმა დე გოლმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ᲨᲐᲠᲚ ᲓᲔ ᲒᲝᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ბ-ნო თავმჯდომარევ, დღეს საფრანგეთი მოგესალმებათ და გულწრფელ და სამართლიან კმაყოფილებას განიცდის. დიახ, იგი აღტაცებულია, უეჭველია, იმ მიზეზით, რომ თქვენ ხართ დიდი საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაური, აგრეთვე იმიტომ, რომ თქვენ ხართ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მეტად რეალისტური, მეტად გაბედული, რომელსაც ნათლად და ყოველმხრივ ესმის ვრცელი პრობლემები, რომლებიც დასახულია პასუხისმგებლობით აღჭურვილი ადამიანების წინაშე.

მართალია, რომ ისეთ შფოთიან დროს, როგორც ახლა, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ჩვენს შეხვედრაში უხვად არის კითხვითი ნიშნები. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ დრო ახლა სერიოზულია, ეს მოვლენა უნდა განვიხილოთ არსებითად ისე, რომ არ იყოს არავითარი რთული, დამატებითი განმარტება. და მართლაც, ბ-ნო თავმჯდომარევ, განა სწორი არ არის, რომ თუ თქვენ აქ იმყოფებით, იმყოფებით მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა მსოფლიოა, რუსეთი და საფრანგეთი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

მე ვამბობ „რუსეთი და საფრანგეთი“. საქმე ეხება სწორედ ამ ორ ქვეყანას, როგორიც საუკუნეთა მანძილზე ისინი გახდნენ ეთნიკური, გეოგრაფიული და ისტორიული პირობების მეოხებით, რომლებშიც ცხოვრობდნენ, როგორიც ისინი ხდებიან როგორც კოლოსალური ყოველმხრივი პროგრესის გავლენით, ისე მოსპობის იმ საფრთხის გავლენით, რომელიც ჩვენს მსოფლიოს მოევლინა. უეჭველია, განსაცდელი, რომელიც მათ წილად ხვდათ, ერთნაირი არ ყოფილა, მათი რესურსების თანაფარდობა სხვადასხვა ეპოქაში მეტად სხვადასხვა იყო, მათი რეოლუციებით წარმოშობილმა ideოლოგიამ განაპირობა მათი რეჟიმის მეტად სხვადასხვა ხასიათი.

მიუხედავად ამისა, ეს არის რუსეთი და საფრანგეთი, ესე იგი ორი მეტად ძველი და ამავე დროს მეტად ახალგაზრდა ქვეყანა, ერთი დედის — ევროპის შვილები, ორი ხალხი, რომელთა სული ყალიბდებოდა ერთი და იმავე ცივილიზაციის გავლენით და რომლებიც მუდამ გრძნობდნენ განსაკუთრებულ მისწრაფებას ერთმანეთისადმი.

ეს არის ორი სახელმწიფო, რომლებსაც არა აქვთ ტერიტორიული დავა, არა აქვთ ურთიერთწყენა, რომელიც შურისგებას იწვევდეს; ისინი იყვნენ მოკავშირენი, როცა საუკუნის მანძილზე ორჯერ მათს კონტინენტს ემუქრებოდნენ აულაგმავი პრეტენზიები, რომლებიც ახლა გაქრნენ.

დღეს საღამოს მე მინდა მოვერიდო იმ ფაქტის ხაზგასმით აღნიშვნას, რომ საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი არიან სხვადასხვა ბანაკში, რომლებადაც დაყოფილია მსოფლიო. ყველამ იცის, რატომ და როგორ მოხდა ეს. მაგრამ ისე გამოდის, რომ მივაღწიეთ ისეთ სტადიას, როცა ორივე მხარე ისწრაფვის არ დაუშვას, რომ ქიშპობამ გამოიწვიოს მოსპობა, ეძებენ პრაქტიკული ურთიერთობის დამყარების საშუალებებს, ურთიერთობისა, რომელსაც არ ახასიათებს უნდობლობა და გაბოროტება, ურთიერთობისა, რომელსაც შესაძლოა, თანამშრომლობის დასაბამი მიეცა ბევრი ხალხისათვის ერთობლივი დახმარების გასაწევად, აგრეთვე ესწრაფვიან თანამედროვე განვითარებას.

ბ-ნო თავმჯდომარევ, გვერწმუნეთ, ჩვენ უდიდესი ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ყოველივე იმას, რასაც თქვენ ამბობთ და აკეთებთ მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ავანსცენაზე გამოხვედით. ეს გვაფიქრებინებს, რომ თქვენი პოლიტიკისა და იმ დიდი ქვეყნის პოლიტიკის მიზანი, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, არის დაძაბულობის შენელება და ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს თანხმობის დამყარებაც. თუ ასეა, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ საფრანგეთში ნახავთ ხალხსა და სახელმწიფოს — საღად მოაზროვნეებს, ძლიერებსა და გამსჭვალულებს მისწრაფებით ყოველი ღონისძიებით მიაღწიონ საყოველთაო მშვიდობასა და საერთაშორისო შერიგებას.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრი დაბრკოლება გვაშორებს ამ მიზანს. საეჭვებით ცხადია, რომ საჭიროა მათი ზედიზედ გადალახვა რეალიზმის სულისკვეთებით. მაგრამ ჩვენი ვალია დასაბამი მივცეთ ამას, რადგან ბოლოს და ბოლოს საქმე ეხება ყველა შესაძლო საქმეზე უდიდესი საქმის, ჩვენი ძმების — ადამიანების საქმის სამსახურს. თუ იმ სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც ერთი მხრივ დაკავშირებული არიან თქვენთან, ხოლო მეორე მხრივ ჩვენთან, შევძელით აცაშენოთ მშვიდობა, რა სინათლე მოეფინება მთელ მსოფლიოს!

ვსვამ პრემიერ ხრუშჩოვის — საბჭოთა კავშირის მთავრობის, ღღეკანდელი და მარადიული რუსეთის სადღეგრძელოს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ Მ. ᲓᲔᲑᲠᲔᲛ ᲡᲐᲣᲖᲛᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 24 მარტი. (საკდესი). დღეს, 24 მარტს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა მ. დებრემ საუზმე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

საუზმეზე, რომელიც გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა, იყვნენ ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლეთურთ, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, გ. ა. ჟუკოვი, ო. ი. ივაშჩენკო, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი და საბჭოთა მთავრობის მეთაურის სხვა თანმხლები პირები.

საფრანგეთის მხრივ საუზმეზე იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი, სახელმწიფო მინისტრები ჟაკინო და ფრე, განათლების მინისტრი ჟოქსი და სხვა პირები.

საუზმის დაწყების წინ ნ. ს. ხრუშჩოვმა პრემიერ-მინისტრ მ. დებრეს გადასცა პირი ალმისა, რომელიც საბჭოთა რაკეტამ მთვარეზე მიიტანა. ბატონმა დებრემ გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამ სამახსოვრო ძღვნისათვის.

მ. დებრემ და ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმის დროს სიტყვები წარმოთქვეს.

Მ. ᲓᲔᲑᲠᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ბ-ნო თავმჯდომარევ, 24 საათიც არ გასულა მას შემდეგ, რაც საფრანგეთში ჩამობრძანდით. ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა, და ასეთ მოკლე ვადაში თქვენ ჯერ კიდევ არ შეგეძლოთ გაგეცეთებინათ დასკვნები ამ პირველი ხანმოკლე შეხვედრიდან ჩვეხს ქვეყანასთან და ჩვენს ხალხთან. მაგრამ ყოველ შემთხვევაში თქვენ შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით, თუ როგორ ვართ დაინტერესებულნი და მხურვალედაც ვართ დაინტერესებულნი თქვენი ვიზიტით.

ვფიქრობ, თქვენ მაშინვე მიხვდით, რომ ეს ინტერესი აიხსნება არა უბრალო ცნობისმოყვარეობით, რასაც იწვევს გამოჩენილი სტუმარი. ეს ინტერესი უმთავრესად ასახავს ფრანგების სტიქიურ გრძნობებს, რომელსაც ესმით თქვენი ვიზიტის მნიშვნელობა, სარგებლობა მოგზაურობისა, რომელიც შესაძლებლობას მოგცემთ უშუალოდ გაეცნოთ ჩვენს ქვეყანას; პოლიტიკური მნიშვნელობა პარიზში თქვენი მომავალი მოლაპარაკებისა — ერთი სიტყვით, იმ შანსებისა, რომლებსაც უქმნის არა მარტო ჩვენს ხალხებს, არამედ მთელ ევროპას, და არა მარტო ევროპას, თქვენი შეხვედრა გენერალ დე გოლთან.

საფრანგეთში ყველამ იცის, რომ ამ ვიზიტისა და ამ შეხვედრის შემდეგ მდგომარეობა აღარ უნდა დარჩეს ისეთი, როგორიც იგი წინათ იყო.

იმას, რაც ერთმა და მეორე მხარემ უკვე იცოდა ან ნაგულისხმევი იყო, რომ იცოდა, დაემატება ახალი შთაბეჭდილებანი, გრძნობები, მსჯელობანი.

ეს წვლილი მტკიცე იქნება. იგი ღრმა კვალს დაჩნევს ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობას. ხალხი უფრო მეტს მოელის და იმედი აქვს, რომ ეს ურთიერთობა გაუმჯობესდება ასეთი მოვლენის შემდეგ, რომელიც — ზედმეტი არ არის ამის თქმა — მაშინ შეძლებს მოიპოვოს ისტორიული მნიშვნელობა.

XX საუკუნის მასშტაბებით მანძილი საფრანგეთის ტერიტორიასა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიას შუა დიდი არ არის. ჩვენი დედაქალაქები, რომლებიც მდებარეობენ ერთი და იმავე კონტინენტის ორივე ბოლოში, ერთმანეთს დაშორებული არიან 3 ათასი კილომეტრით; 30 წლის წინათ 3 ათასი კილომეტრი ბეკრი იყო. ახლა კი ეს მანძილი შეიძლება გავიფრინოთ ერთ დილაზე ნაკლებ დროში. მანძილის მარტო ერთი ეს შემცირება აცხოველებს კავშირს, რომელიც ისტორიამ შექმნა საფრანგეთისა და რუსეთის ხალხებს შორის უკანასკნელ საუკუნეებში, და ამ ისტორიიდან თვითეული ცდილობს გაიხსენოს კარგი რამ.

ფრანგი ხალხი გამსჭვალულია რუსი ხალხისადმი გულწრფელი პატივისცემით და მეგობრობით, რომლებიც მხოლოდ განვითარებასა და გამოვლინებას მოითხოვენ. და როცა მე ვლაპარაკობ რუს ხალხზე, ვფიქრობ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენ ხალხზე,

რა თქმა უნდა, არ შეიძლება მარტივი ვუწოდოთ მთავრობათა ამოცანას, რომლებიც ვალდებული არიან დადებითი მოქმედებით განახორციელონ ხალხთა კეთილი განზრახვანი და გამოთქვან ხალხთა გრძნობები პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ორიენტაციაში. ჩვენს თავს არ უნდა დავუმალოთ ფაქტების მკაცრი სინამდვილე. უფრო მეტიც, ჩვენი ამოცანა ის არის, რომ იგი არ დავმალოთ. ახლანდელი მსოფლიო მკაცრი მსოფლიოა, ეს ისეთი მსოფლიოა, სადაც სიტყვები, რომლებიც ადამიანთა ვნებებს ამწვავებენ, როგორც ჩანს, ხელს უშლიან მშვიდობის მტკიცე უზრუნველყოფას.

მშვიდობა — ეს ისეთი, თითქოს, უბრალო სიტყვაა! მშვიდობა ისეთი სიტყვაა, რომლის განმარტება თითქოს არავის ესაჭიროება, ხოლო მიუხედავად ამისა, რამდენია მასში ორჭოფულობა და ზოგჯერ მაცთუნებლობა. არსებითად, ნამდვილი მშვიდობა, რომელსაც სულით და გულით ისწრაფვის თავისუფალი ადამიანი, მარტო ის კი არ არის, რომ ომი არ იყოს.

მშვიდობა რაღაც გაცილებით მეტია — ეს არის გარკვეული საერთაშორისო წესრიგის, სახელმწიფოებს შორის ჰარმონიის, ხალხებს შორის თანამშრომლობის დამყარება.

მშვიდობა იმაში დარწმუნებაა, რომ ძალადობა გამოყენებული არ იქნება და არც შეიძლება გამოყენებულ იქნას რაიმე პრეტენზიის, რაიმე ვნების დასაკმაყოფილებლად.

მშვიდობა — ეს წამოწყებაა, რომელსაც დასასრული არა აქვს, უდიდესი შემოქმედებითი შრომაა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ იმ საერთო ცდაში, რომ მიღწეულ იქნას ურთიერთ თანამშრომლობა და შემწყნარებლობა, მიუხედავად პოლიტიკური და სოციალური რეჟიმების განსხვავებისა.

და, ბოლოს, მშვიდობა არის საქმე, რომლის მონოპოლიზაცია არ შეუძლია არავის, არც ერთ მთავრობას, არც ერთ პოლიტიკურ ეროვნულ ჯგუფს, რადგან იგი მოითხოვს მთელი კაცობრიობის ღონისძიებებს. ეს არის მისი სიდიადე და მისი სინაზე.

ასეთი მშვიდობის იმედი ჰქონდა ყველას 1945 წელს, როცა დადუმდნენ ზარბაზნები ყველაზე საშინელი, ყველაზე დანაშაულებრივი ომის შემდეგ, როგორიც კი ევროპას ენახა.

განვლო 15 წელმა, და ჩვენ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეს იმედი გაქრა. და თუ დღეს გვიხარია ის, რომ ომის აჩრდილი გვშორდება, თუ ჩვენ უფრო ნათლად, ვიდრე 1945 წელს, გვესმის, რომ ახალ ომს შეუძლია მთელ კაცობრიობას მოუტანოს უმაგალითო კატასტროფა, ჩვენ აგრეთვე ვიცით — და საფრანგეთმა, რომელმაც ესოდენი განსაცდელი გამოიარა, რაც ჯერ კიდევ სავსებით არ დამთავრებულა, ეს იცის უკეთ, ვიდრე სხვა ხალხებმა, — რომ ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი იმისათვის, რომ ჩვენს პლანეტაზე დამყარდეს ნამდვილი და მტკიცე მშვიდობა, რომელიც ყოველი ხალხისათვის უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანეს სიკეთეს — უშიშროებას.

დღეს არც ილუზორულად გვაჩვენება და არც გაუმართლებლად იმ იმედი, რომ მსოფლიო შეიძლება დაადგეს იმ გზას, რომლითაც იგი არ წავიდა 15 წლის წინათ.

ამისათვის საჭიროა, რომ ყოველი ხალხი, ყოველი მთავრობა, ყოველი რეჟიმი დათანხმდეს და არ ეცადოს არც გამარჯვებას და არც პირად სარგებლიანობას; რომ თვითეული ხალხი, თვითეული მთავრობა, თვითეული რეჟიმი ეცადოს მოეპაროს სხვებს იმ გაგებით, როგორიც მას მხურვალედ სურს თავისთვის.

მშვიდობა ყოველდღიური ამოცანაა.

ბ-ნო თავმჯდომარევ, როგორც გუშინ და დღეს გითხრათ გენერალმა დე გოლმა, ჩვენ ვაპირებთ მივიღოთ ყოველი ღონისძიება, რათა ხელი შევუწყოთ შეთანხმებებს, რომლებიც სამართლიანობისა და ხალხთა უფლებისადმი პატივისცემის პირობებში გადაწყვეტენ ახლანდელ პოლიტიკურ პრობლემებს და მისცემენ კაცობრიობას უაღრესად სერიოზულ გარანტიებს ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ იმედი გვაქვს მძლავრი საბჭოთა კავშირის ხალხთა და ხელმძღვანელთა ნებისა და სწორედ ასე ვაფასებთ თქვენი ჩამოსვლის, საფრანგეთში თქვენი პირველი მოგზაურობის მნიშვნელობას.

დამრჩენია ვისურვო, ბ-ნო თავმჯდომარევ, რომ თქვენი ყოფნა აქ ხდებოდეს ისეთ ვითარებაში, რომელიც ყველაზე კეთილნაყოფიერი იქნება ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებისათვის და ამავე დროს ყველაზე სასიამოვნო იქნება თქვენთვის. თქვენი ოჯახისა და თქვენი თანმხლები პირებისათვის.

გამოვთქვამ გულწრფელ სურვილს, რომ თქვენი ყოფნით საფრანგეთის მიწაზე მიიღოთ ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილებანი. ვსვამ თქვენი მოგზაურობის წარმატების სადღეგრძელოს. საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის კარგი და გულითადი ურთიერთობის განვითარების, ყველა ხალხისათვის მშვიდობის; ყველა ადამიანისათვის მშვიდობის სადღეგრძელოს.

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო! ქალბატონო დე გოლ!

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ქალბატონებო და ბატონებო!

უწინარეს ყოვლისა მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით, რომ ერთხელ კიდევ მოვახსენო მადლობა პრეზიდენტ დე გოლს თავაზიანი მოწვევისათვის თქვენს მშვენიერ ქვეყანაში.

ჩვენ გეშამს და იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთის გაცნობა, მის სახელოვან ხალხთან კონტაქტი, გენერალ დე გოლთან შეხვედრები და საუბრები ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის განვითარებას, გამოიწვევენ უკეთეს ურთიერთგაგებას საარსებო მნიშვნელობის საერთაშორისო საკითხებში, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს აინტერესებს.

ზოგი ვინმე დღემდე ამტკიცებს, რომ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არ შეიძლება იყოს მეგობრობა, რადგან ჩვენი სახელმწიფოები და მათი საზოგადოებრივი წესები მეტისმეტად განსხვავდებიან. ჩვენ სხვა აზრისა ვართ. თქვენ, ფრანგები, ამბობთ, სურვილი შეძლებას ნიშნავსო. ჩვენ ამის თანახმა ვართ. თუ ორივე ჩვენს ქვეყანას სურს ითანამშრომლოს ესოდენ დიდმნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის მშვიდობის შენარჩუნება ევროპაში, რომელიც ორჯერ იყო მსოფლიო ომის კერა, მათ შეუძლიათ მიაღწიონ ამას, რადგან არ არსებობს რაიმე დაუძლეველი გარემოება, რომელიც აბრკოლებდეს ჩვენს ქვეყნებს შორის მტკიცე მეგობრობასა და თანამშრომლობას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის ძირეულ საკითხებში საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შეუძლიათ გამონახონ საერთო საფუძველი. ხომ თითქმის ყველა ომის ქარიშხალს, რომელსაც გადაუვლია ევროპის თავზე, დაუზარალებია როგორც თქვენი ხალხი, ისე ჩვენი ქვეყნის ხალხიც. დღეს უცნობი ჯარისკაცის საფლავთან და მონ-ვალერიენზე ჩვენ პატივი ვეცით საფრანგეთის გმირი შვილების ხსოვნას, რომლებმაც თავი დადეს გერმანელი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. განა ისინი მარტო თქვენთვის არიან ძვირფასი? არა, ისინი ძვირფასი არიან ჩვენთვისაც. გადამწყვეტ მომენტებში ჩვენი ხალხები ერთად ომობდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ახლა საკითხი ასე დგას — იცხოვროს ევროპამ მილიტარიზმის საფრთხის, ახალი აგრესიის საფრთხის მოლოდინში თუ იგი გახდეს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის მაგალითი, უჩვენოს მთელ კაცობრობას მშვიდობის გზა? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპას შეუძლია გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს სახელმწიფოთა ნაყოფიერი მშვიდობიანი თანაარსებობის ზონა, რომ ევროპაში შეიძლება შეიქმნას და კიდევაც უნდა შეიქმნას კოლექტიური უშიშროების ქმედითი სისტემა.

ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთში ითვალისწინებენ რევანშის საფრთხის არსებობას, თუმცა საფრანგეთის ხელმძღვანელებს სურთ თავიდან აიცილონ ამ საფრთხის გაძლიერება არა ისეთი მეთოდებით, როგორიცაც ჩვენ გვინდა. ჩვენ ვხედავთ ამ სხვაობას მიდგომაში. მაგრამ ვხედავთ აგრეთვე იმის შესაძლებლობას, რომ საერთო მიდგომა შევიმუშაოთ ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში. ჩვენი ქვეყნების ხალხებს, ისევე როგორც ყველა ქვეყნის ხალხებს, მშვიდობა სურთ, და ჩვენ უნდა გავამართლოთ მათი მოლოდინი.

მილიტარიზმი და აგრესია რომ აღარ ემუქრებოდეს მშვიდობას ევროპაში, ჩვენი აზრით, საჭიროა აღმოვფხვრათ მეორე მსოფლიო ომის ნაშთები და დავდოთ საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. საქმისადმი ასეთი მიდგომით არავინ არ დაზარალდება, მაგრამ სამაგიეროდ მოიგებს ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა ყოფილი მონაწილე, მოიგებს გერმანელი ხალხიც, ხოლო რაც მთავარია, მოიგებს ხალხთა შორის მშვიდობის საქმე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პოზიცია გაგებას ჰპოვებს საფრანგეთში, მის ხელმძღვანელებში.

გულთბილი შეხვედრა, რომელიც აქ მოგვიწყეს, ნებას გვაძლევს თვალნათლივ დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის დიდი ხნის ტრადიციებს ღრმა სასიცოცხლო ფესვები აქვს.

შეიძლება მოველოდეთ, რომ სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის ვითარდება, გაზაფხულის ნაკადულებივით გაიკვლევს გზას ყველაფერში, რაც დანალექი და შეძთხვევითია, და მეერთდება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის მძლავრ მდინარედ. ასეთი თანამშრომლობის პოტენციური შესაძლებლობანი სულაც არ ამოწურულა, მას შეუძლია ეფექტიანად შეუწყოს ხელი იმ გათიშვის ლიკვიდაციას, რომელიც ევროპაში წარმოიშვა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი სამხედრო დაჯგუფების შექმნის შედეგად. რაც უფრო მალე იქნება ლიკვიდირებული ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ეს სამხედრო დაჯგუფებანი, მით უკეთესი იქნება მშვიდობის საქმისათვის.

მე მაგონდება გენერალ დე გოლის ვიზიტი საბჭოთა კავშირში 1944 წლის დეკემბერში და ორივე ჩვენი ქვეყნისათვის ის სასარგებლო შედეგები, რომლებიც მიღწეულ იქნა ამ ვიზიტის დროს. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჩვენი ახლანდელი ვიზიტიც კარგი დასაწყისის განგრძობა და განვითარება იქნება, გამოიწვევს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის განმტკიცებას ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის. დიდი ყურადღებით მოვისმინე თქვენი სიტყვა, ბ-ნო პრეზიდენტო, და თანახმა ვარ ომისა, რაც თქვენ თქვით. ღრმად მწამს, რომ თუ საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან ერთად ერთობლივ ღონისძიებებს განახორციელებენ, რათა უზრუნველყონ ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა, ეს მიზანი მიღწეულ იქნება.

ვადღეგრძელებ საფრანგეთის პრეზიდენტს გენერალ შარლ დე გოლს, ვადღეგრძელებ მის მეუღლეს! ვადღეგრძელებ პრემიერ-მინისტრს დებრესა და მის მეუღლეს!

გაუმარჯოს დიდ და აყვავებულ საფრანგეთს, ნიჭიერ და შრომისმოყვარე ფრანგ ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეგობრობას!

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო! ქალბატონო დებრე!

უკანასკნელი დროის მეცნიერებისა და ტექნიკის დიდმა აღმოჩენებმა და მიღწევებმა ახლებურად დააყენეს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საკითხი. ხალხებს არა სურთ ომი და იბრძვიან იმისათვის, რომ გამორიცხონ იგი საზოგადოების ცხოვრებიდან და ამასთან სამუდამოდ გამორიცხონ.

როგორია ამ ვითარებაში იმ სახელმწიფო მოღვაწეთა როლი, ვისი პასუხისმგებლობაც ისტორიის წინაშე ხალხთა ბედისათვის, მთელი კაცობრიობის მომავლისათვის განსაკუთრებით დიდია?

ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე ამტკიცებს, რომ მშვიდობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას „შიშის წონასწორობის“ დახმარებით. პრაქტიკაში ეს ნიშნავს გამალებული შეიარაღების არა შეწყვეტას, არამედ განგრძობას. კარგად ცნობილია, რომ იარაღის დაგროვებას არასოდეს არ გამოუწვევია მშვიდობის განმტკიცება. პირიქით, იგი მას ხდიდა მერყევს, ამა თუ იმ ქვეყნის გარკვეულ წრეებში ბადებდა ცთუნებას მიეძართნათ „ძალების მოსინჯვისათვის“, „ეცადნათ ბედი“ ბრძოლის ველზე.

რა გარანტიაა ახლა, რომ „შიშის წონასწორობის“ პოლიტიკა ომს არ გამოიწვევს? არავითარი გარანტია არ არის. ხომ არ შეიძლება გარანტიად მივიჩნიოთ ასეთი საშიში პოლიტიკის ამა თუ იმ სულისჩამდგმელის სიტყვიერი დაპირება.

არავითარი გაუგებრობა რომ არ იყოს, მინდა ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირს სულაც არ ეშინია რევანშისტებისა, რომლებიც აქაიქ სულ უფრო მაღლა სწევენ თავს. ჩვენ ყველაფერი გვაქვა, რაც საჭიროა, რომ საკადრისი წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველი აგრესიის ცდას ჩვენს წინააღმდეგ ან სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი მეგობრები არიან. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს. ჩვენ გვინდა, რომ არა მტრობის ურთიერთობა, არამედ მეგობრობის ურთიერთობა დამყარდეს იმ ქვეყნებთანაც, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მტრები იყვნენ წარსულ ომში.

არის თუ არა სხვა გზა, რომელიც გამორიცხავდეს ომის საფრთხეს და ამასთან ზიანს არ აყენებდეს სახელმწიფოთა ინტერესებს, ზიანს არ აყენებდეს არავის?

ჩვენ ვაცხადებთ: ასეთი გზა არის. ეს არის სახელმწიფოთა საყოველთაო და სრული განიარაღება, გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების უსწრაფესი დამთავრება, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაცია. ეს გზა ის არის, რომ არ წავაქეზოთ რევანშისტები, ბოლო მოვუღოთ „შიშის წონასწორობის“ პოლიტიკას. ეს გზა ის არის, რომ განვავითაროთ უკლებლივ ყველა სახელმწიფოსთან მეგობრობის, თანამშრომლობის ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ამ მხრივ ჩვენ ვიზიარებთ პრეზიდენტ დე გოლის მიერ გამოთქმულ იდეას, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობა ცივილიზაციის აუცილებელი საჭიროება უნდა გახდეს.

განა საჭიროა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ევროპაში მშვიდობის გზა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის კავშირი და მეგობრობაა, თუ ასეთი კავშირი იქნება, აღარ იქნება ომი ევროპაში, თუ ასეთი კავშირი არ იქნება, მაშინ შესაძლებლობა სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტების წამქეზებლური მოქმედებისათვის მეტი იქნება, ვიდრე მშვიდობისათვის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის დროს.

ზოგი ვინმე ამბობს, ხრუშჩოვს სურს საფრანგეთი და მისი დასავლეთელი მეგობრები გათიშოსო. ჩვენ ასეთი განზრახვა არა გვქონია და არა გვაქვს. პირიქით, ჩვენ გვსურს მეგობრობა საფრანგეთთანაც და მის მეგობრებთანაც. მოხარული ვიქნებოდით, საფრანგეთს რომ მეგობრობა ჰქონდეს ჩვენთან და ჩვენს მეგობრებთან.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა არ მოითხოვს, რომ ჩვენმა ქვეყნებმა „ომი თქვან“ იქ არსებულ წესწყობილებასა და იდეოლოგიაზე. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ: იცხოვრეთ ისე, როგორც თქვენი ხალხი ამჯობინებს იცხოვროს, ჩვენ კი ვიცხოვრებთ ისე, როგორც ჩვენს ხალხს სურს. მაგრამ მშვიდობიან ასპარეზზე ჩვენს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის სფეროს საზღვარი არა აქვს. ჩვენი ინტერესები არსად არ ეჯახება ერთმანეთს. საბჭოთა მთავრობას სურს ერთი რამ — გამოიყენოს ჩვენი ქვეყნების შესაძლებლობანი ევროპაში სიმშვიდისა და მშვიდობის ვითარების შესაქმნელად.

ევროპაში დაძაბულობის შენელებას, ჩვენი თვალსაზრისით, ბევრად შეუწყობდა ხელს თავდაუსხმელობის პაქტის დადება საბჭოთა ორ დაჯგუფებას შორის. ასეთი პაქტის დადება იქნებოდა პირველი კონკრეტული ნაბიჯი არსებულ სამხედრო დაჯგუფებათა ლიკვიდაციის გზაზე. ამასთან ერთად ეს მოამზადებდა მომავალში ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნას. ასეთი პაქტის დადების საკითხი, ჩვენი აზრით, დიდი ხანია მომწიფდა.

შეიძლება იყოს სხვადასხვა დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი. მაგრამ თუ იქნა ორივე მხარის სურვილი მაშინ არსებული „თანხმოებანი შეიძლება დავძლიოთ და გამოვნახოთ საერთო ენა.

მოვისმინე რა თქვენი სიტყვა, ბატონო დებრე, მე ვუერთდები თქვენს ნათქვამს. ჩვენ მართლაც მხოლოდ 24 საათია ვიმყოფებით თქვენს ქვეყანაში, მაგრამ იმ შეხვედრებმა და საუბრებმა, რაც ჩვენ აქ გვქონდა, მათ შორის პრეზიდენტთან გენერალ დე გოლთან გუშინდელმა და დღევანდელმა შეხვედრებმა, ჩვენზე უკვე მოახდინეს ღრმა შთაბეჭდილება.

მე ვგრძნობ, რომ ჩვენი მისწრაფებები საერთო მისწრაფებებია. თქვენ, ისევე როგორც ჩვენ, გსურთ საუკეთესო ურთიერთობა გქონდეთ ყველა ხალხთან. თქვენ, ისევე როგორც ჩვენ, ცდილობთ ასეთი გზით მიაღწიოთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

როცა

გავაუმჯობესოთ პროფესიული კავშირების მუშაობა, ავამაღლოთ მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში

საქართველოს პროფკავშირთა X ყრილობა

(დასასრული).

რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია საქართველოს პროფკავშირთა IX და X ყრილობებს შორის გასულ პერიოდში. რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, გადაჭარბებით, 22 დეკემბრისათვის შეასრულა შვიდწლედის პირველი წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა და წლის დამლევამდე მისცა ჩვენს ქვეყანას ასობით მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

1958-1959 წლებში რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მოწინავე საწარმოები 715-ჯერ გამოვიდნენ გამარჯვებულნი სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოებულ იქნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სახალხო მეურნეობის საბჭოს და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით, ფულადი პრემიებით.

აბორიგენებს რა პარტიის XXI ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის საკითხთა შესახებ, საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს, უზრუნველყვეს ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, აბრეშუმის პარკის, თამბაქოს და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდება. სერიოზული შუამავლობა შესრულდა საზოგადოებრივ მეცხოველეობაში საქმის მდგომარეობის შესაცვლელად.

სასიხარულოა წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა ინტელიგენციამ — მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკებმა, რომლებსაც თავიანთი შემოქმედებითი შრომით დღითიდღე ღირსეული წვლილი შეაქვთ ქართველი ხალხის შემოქმედებითს შრომაში. საქართველოს პროფკავშირები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური დახმარებით რაზმავენ შშრომელებს იმ ამოცანების განსაორციელებლად, რომლებიც დასახა პარტიის XXI ყრილობამ, იმისათვის საბრძოლველად, რომ თვითეული საწარმომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს სახელმწიფო გეგმები, აგრეთვე ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის საბრძოლველად.

სოციალისტურ შეჯიბრებას სულ უფრო ფართო გაქანება ეძლევა სახალხო მეურნეობის დარგში. მასში მონაწილეობს მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა დიდი უმრავლესობა. წარმოიშვა შეჯიბრების ისეთი ახალი ფორმები, რომლებიც არის საწარმოთა კოლექტივებისა და ცალკეულ მუშათა მასობრივი მოძრაობა კომუნისტური შრომის სამკრეხოს, ცვლის, ბრიგადისა და დამკვრელის წოდებისათვის, ვალენტინა გაგარინას მიმდევართა პატრიოტული მოძრაობა და სხვ.

სრულყოფდნენ რა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს, პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურად უჭერდნენ მხარს და ავრცელებდნენ ყველა ამ კეთილშობილურ წამოწყებას. 2.900 ბრიგადად, სამშეროდ და ბუნებად გაერთიანებული 47 ათასი მოწინავე მუშა იბრძვის ამჟამად კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის სპეციალური წოდების მიღებისათვის. 539 კოლექტივს, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს შუამავლობაში, უკვე მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის, სამკრეხოს, ცვლისა და უბნის წოდება. კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭა 1.967 მოწინავე მუშას.

მომხსენებელი დამაწერეთ მოუთხრობს, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს ამიერკავკასიის სტალინის ხელოვნების მეტალურგიული ქარხნის მებრძოლებ-ალრჩ ძამაშვილის, მეფოლადე ამირან ფანასეულაის და სხვების კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, რა მიღწევები აქვთ გორის ბამბეულის კომბინატის მუშას ელენე გეგელაშვილს, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა მიბაძა გაგარინას მაგალითს, თბილისის აბრეშუმსაქმოვი ფაბრიკის წარჩინებულ მქსოველს ეთერ სოლომონიას, რომელსაც ამას წინათ მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც შეიტანა წინადადება დაიწყოს საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის, წარმოებაში დანაკარგისა და მფლანგველობის წინააღმდეგ და ვალდებულება იკისრა დაზოგოს და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს 7 მილიონი მანეთი. ქუთაისელთა თაოსნობა, რომელიც მიიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ფართოდ გაავრცელეს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა რესპუბლიკის ყველა საწარმოში და მას მხარი დაუჭირა ჩვენი ქვეყნის ბევრმა ქარხანამ და ფაბრიკამ.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად საქართველოს საწარმოთა კოლექტივებმა 1959 წელს დაზოგეს და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 150 მილიონ მანეთზე მეტი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 97 მილიონი მანეთისა.

ამხ. ლელაშვილი შემდეგ აღნიშნავს, რომ პარტიის XXI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის ახალი აღმავლობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის მონაწილეობს საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და დამაზადებელი ორგანიზაციების 26 ათასზე მეტი მუშა და სპეციალისტი.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას, იყენებენ სოციალისტური შეჯიბრების განვითარების ყველაზე პრაქტიკულ ფორმებს ჩვენი რესპუბლიკის პირობებში. პროფსაბჭომ საქართველოს აღკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მოაწყო სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდა მუშების რესპუბლიკური სკოლები წარმოების ნოვატორთა შრომის მეთოდების შესასწავლად. ეს სკოლები, რომლებშიც მოზიდული არიან მეცნიერი მუშაკები, გახდა მოწინავე გამოცდილების გაზიარებისა და გავრცელების ერთ-ერთი ეფექტური ფორმა.

სულ უფრო მეტი გაქანება ეძლევა მონათესავე საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრებას როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მთელი რიგი წლების მანძილზე ერთმანეთს ეჯიბრებიან რუსთავი, სტალინოსა და სუმგაითის მეტალურგები, ქუთაისიისა და ლენინგრადის მელიტოპონეები, ჭიათურისა და ნიკოპოლის მაღაროელები, თბილისსა და ქუთაისის მეფეხსაცმელეები, თბილისის, რიგის, კაუნასის, ტალინისა და ერევნის ფეიქრები. შეჯიბრების მონაწილენი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ეხმარებიან წარმოებაში ტექნიკურ სიახლეთა, ნოვატორების წინადადებათა დანერგვაში.

კარგი ნაყოფი მოაქვს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭოების სამრეწველო საწარმოთა შეჯიბრებას.

ამ დადებით ფაქტებთან ერთად, ამბობს ამხ. ლელაშვილი, რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის მხრივ ჯერ კიდევ ცოტა როდია სერიოზული ნაკლი. მათ მთლიანად ვერ აღმოფხვრილ შეჯიბრებაში ფორმალიზმის ელემენტები. მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციები და სამეურნეო ორგანოები ჯეროვნად არ ზრუნავენ იმისათვის, რომ შეჯიბრება ნამდვილად მასობრივი იყოს, არ სწავლობენ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან ვალდებულებათა შესრულებას.

ასეთი ნაკლოვანებებია, კერძოდ, ტყეარჩელის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირულ ორგანიზაციებში. მთელ რიგ შახტებსა და უბნებში წლითიწლობით არ სრულდება ქვანახშირის ამოღების საწარმოო დავალება, მაგრამ შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები ღრმა ანალიზს არ უკეთებენ მათი ქრონიკული ჩამორჩენის მიზეზებს.

ჯეიბრების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, სერიოზული ნაკლოვანებანი ორგანიზაციულ-სამეურნეო ხელმძღვანელობაში და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში იყო მთელ რიგ საწარმოთა და მშენებლობათა მიერ საწარმოო დავალებების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზები. სახალხო მეურნეობის საბჭოს 486 საწარმოდან 1959 წელს გეგმა ვერ შეასრულა 78 საწარმომ.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა გაითვალისწინეს გასული წლის ნაკლოვანებები და შვიდწლედის მეორე წლის პირველ თვეებში გააუმჯობესეს საწარმოო საქმიანობა და მოწინავეთა რიგებში დგებიან. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას, რომ სახელმწიფო გეგმას ასრულებდეს ყოველი მუშა, ბრიგადა, უბანი, საწარმო ყოველდღე, ყოველ თვეს თვალი რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

შვიდწლიანი გეგმის ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს, რომ პროფკავშირები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანების მუშაობაში, მეტ ინიციატივასა და საქმიანობას იჩენდნენ წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის საკითხების გადაჭრაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელებისათვის რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის საწარმოებსა და სოფლის მეურნეობაში შეიქნა 1.620 საერთო-საქარხნო და საამქროს მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირი. შარშან მათ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 600 ათასმა კაცმა — მუშებმა, ნოვატორებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ამ თათბირებმა გაიხილეს 60.588 წინადადება, რომელთაგან უკვე დანერგულია 51.421.

მოხსენებაში აისახა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მრეწველობასა და მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადწყვეტილებათა შესრულებასთან. ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საწარმოებში შექმნილი ტექნიკური პროგრესის ხელშემწყობი კომისიები. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ტექნიკური პროგრესის განვითარებაში არის ნაკლოვანებები. საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ძირითადი დაგალებანი, რომლებიც დამტკიცებული იყო 1959 წლისათვის, არაერთგზის გაკრიტიკეს იმის გამო, რომ ისინი შემუშავებულია სახალხო-სამეურნეო გეგმისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმისაგან მოწყვეტით. ნაწილობრივ სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დანერგვის 294 დასახული ღონისძიებიდან განხორციელდა მხოლოდ 174. გავლენა მოახდინა იმანაც, რომ მრეწველობის ზოგიერთი მუშაკი ჯეროვნად ვერ აფასებდა ახალი ტექნიკის დანერგვის როლს.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ წარმოების ტექნიკის განახლების სამუშაოებთან ერთად საჭიროა უფრო ფართოდ გავშალოთ მუშაობა მოწყობილობის მოდერნიზაციისა და სრული გამოყენებისათვის. ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი უნდა შეასრულონ სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებამ, რომლებსაც პროფკავშირები ხელმძღვანელობენ. უნდა განვაეითაროთ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მოძრაობა, მოვსპოთ ბიუროკრატიული დაბრკოლებანი მათს გზაზე.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა პროფკავშირთა მონაწილეობას მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მარტო უკანასკნელ ორ წელს ქალაქებსა და მუშათა დაბებში სახელმწიფო ორგანიზაციებმა, საბინაო კოოპერატივებმა, აგრეთვე მოსახლეობამ თავიანთი დანაზოგით და სახელმწიფოს მიერ მიცემული კრედიტებით ააშენეს 1.486 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, დიდ მუშაობაში, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ბინებით მშრომელთა უზრუნველყოფისათვის, აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროფკავშირული ორგანიზაციები. მათ გააძლიერეს საზოგადოებრივი კონტროლი საბინაო მშენებლობის მიმდინარეობისადმი, გაშალეს შეჯიბრება მშენებელ მუშათა შორის, აღწევენ საცხოვრებელი ფართობის სწორად განაწილებას.

პროფკავშირთა მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმის გაუმჯობესება. საქართველოს პროფსაბჭომ შექმნა საზოგადოებრივი კონტროლის 63 კომისია, რომლებშიც მონაწილეობს 500-ზე მეტი აქტივისტი, ხოლო საწარმოებსა და დაწესებულებებში არჩეულია 600 საზოგადოებრივი კონტროლიორი, რომლებიც ახორციელებენ კონტროლს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში არის ნაკლოვანებები. ჯერ კიდევ დაბალია მოსახლეობის მომსახურების კულტურა, აღმოფხვრილი არ არის საპრეისკურანტო ფასების დარღვევისა და გამოძალვის ფაქტები.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უნდა გაფართოვდეს ხელმისაწვდომი და დიეტური სასადილოების, სასკოლო ბუფეტების ქსელი, გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი კვება საბჭოთა მეურნეობებში. პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოთა მუშაობისადმი.

ამხ. ლელაშვილი შეეხო პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანებს, რათა განხორციელდეს სკკპ XX და XXI ყრილობების დირექტივები შემოკლებული სამუშაო დღის შემოღებისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების მოწესრიგების შესახებ. შრომისა და ხელფასის ახალ პირობებზე უკვე გადაკვანილია მეტალურგიული, ქვანახშირის, სამთამადნო, ქიმიური, ცემენტის, ნავთობისა და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა დარგების მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა 60 ათასი მუშა და მოსამსახურე.

მუშაობის ახალი რეჟიმის შემოღება დაკავშირებულია საერთიოლულ ტექნიკურ, სამეურნეო და ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელების საჭიროებასთან, რათა შემოკლებული სამუშაო დღის პირობებში უზრუნველყოფილ იქნას საწარმოო დავალებათა შესრულება და არ შემცირდეს მუშათა ხელფასი.

მომხსენებელმა ილაპარაკა პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვაზე მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, პროფკავშირული ორგანიზაციების როლზე ამ საქმეში. მან აღნიშნა, რომ მეტალურგიული, ელექტროტექნიკური, ქვანახშირის, ხის დამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა და მშენებლობათა ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელები და პროფკავშირული ორგანიზაციები ურიგდებიან დარღვევებს, არ ახორციელებენ კონტროლს შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის უზრუნველყოფისათვის.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი. ჩვენს რესპუბლიკაში საანგარიშო ორი წლის მანძილზე სოციალური დაზღვევის ხარჯები შეადგენდა დაახლოებით 900 მილიონ მანეთს, ხოლო მომდინარე წელს 1958 წელთან შედარებით ხარჯები გაიზრდება 80 მილიონი მანეთით და მიაღწევს ნახევარ მილიარდ მანეთს.

ამხ. ლელაშვილი ეკამათება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების, საავადმყოფოს უზრუნველყოფის საქმის მოწესრიგების გადაუდებელ ღონისძიებებზე.

პროფკავშირთა მუშაობის პასუხსაგებად უბანია კოლექტიური ხელშეკრულებებით ორმხრივ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა. კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულება რეგულარულად უნდა განიხილონ პროფკავშირებმა.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას.

განვლილი ორი წლის მანძილზე პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს 50 ათასზე მეტი ლექცია, საუბარი და მოხსენება, რომლებიც განმარტავდნენ, უმთავრესად, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. ამ ლექციებსა და მოხსენებებს სმა მილიონზე მეტი კაცი დაესწრო.

წელს მთელი ეს მრავალმხრივი აღმზრდელობითი მუშაობა წარმოება იმ მიმართულებით, რომ შესრულდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“. სამეროა, რომ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა განუწყვეტლივ ფართოვდებოდეს.

ამხ. ლელაშვილმა აღნიშნა კულტურის უნივერსიტეტების როლი მუშა-მოსამსახურეთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, მათთვის ესთეტიკური გემოვნებისა და კომუნისტური მორალის დანერგვაში, შეეხო პროფკავშირული კულტურის სახლებისა და კლუბების საქმიანობას, ასახა მასობრივი მხატვრული თვითმოქმედების განვითარების მდგომარეობა.

ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშათა და სპეციალისტთა შორის კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა, მშრომელთა კინომომსახურება.

პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიური ყურადღება მიაქციონ მასობრივ ფიზკულტურულ მუშაობას.

რესპუბლიკისა სასპორტო საზოგადოებებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე 1959 წელს საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა სპორტსმენები თავიანთ შესაძლებლობაზე უფრო სუსტად გამოვიდნენ.

ამხ. ლელაშვილმა ილაპარაკა საქართველოს პროფკავშირების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაზე. აღნიშნა, რომ გასული წლის დამლევს პროფკავშირული ორგანიზაციების ანგარიშგებამ და არჩევნებმა ცხადყო მათი წევრების გაზრდილი აქტივობა. ამაღლდა პროფკავშირების როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, გაძლიერდა მათი გავლენა საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობის ყველა მხარეზე.

პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულა ახალმა დებულებამ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისა და შუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების უფლებათა შესახებ.

მოხსენებაში აღინიშნული იყო იმ უფლებათა უკეთ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ეძღვნებიან პროფკავშირულ ორგანიზაციებს, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

მოხსენების დასასრულს ამხ. ლელაშვილი ამბობს, რომ პროფკავშირთა მთელი ორგანიზატორული მუშაობა, მთელი მათი საქმიანობა გამსჭვალულ უნდა იყოს სკკპ ისტორიული XXI ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით კვლავაც იქნებიან პარტიის ერთგული მებრძოლი თანაშემწეები, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობაში.

ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის რ. ა. ავეტისოვის საანგარიშო მოხსენება.

შემდეგ დაიწყო კამათი საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

• • •

კამათში მონაწილეობა მიიღეს: აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. ჯახუამ, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. ვ. კუბლაშვილმა, თბილისის სართა-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველმა მ. ი. რუჩკინამ, მთავართბილისმშენის რკინაბეტონის ნაკეთობის ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. ა. ბოჭორიშვილმა, აჯარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. გ. ეკიზაშვილმა, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. კ. სურგულაძემ, პროფესორმა ნ. ვ. ანთელავამ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. რ. ყალანდაძემ, ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ი. პ. გოგოლაშვილმა, სრულიად საკავშირო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. მეტრეველმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა მ. ბ. დვინჭილიამ, სახრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ს. ვ. ჯიოევმა, ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათსაშენებელი ქარხნის ზინკალმა დ. შ. რუხაძემ, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ გ. პ. ზედგინიძემ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. გ. გომელაურმა.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დ. ზ. ცირეკიძის საანგარიშო მოხსენება და დაამტკიცა იგი.

წყალთხულ იქნა საქართველოს პროფკავშირთა X ყრილობის სახელზე მიღებული მისალმებანი აზერბაიჯანისა და სომხეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოებისაგან.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საქ-დესი).

ლენინის საღამოები თბილისში

გრძელდება ლენინის საღამოები, რომლებსაც აწყობს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალთან და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებასთან ერთად.

24 მარტს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში, სადაც იმართება ლენინის საღამოები, შეიკრიბნენ საწარმოთა, მშენებლობათა, დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

ლექციი თემაზე „სსრ კავშირში სოციალისტური ერების აყვავება ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა“ წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბ. ჩუბუბიშვილმა. მან დაწვრილებით დაახასიათა ვ. ი. ლენინი, როგორც ეროვნული საკითხის შესახებ კომუნისტური პარტიის თეორიის შემქმნელი. ვლადიმერ ილიასძის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა იდეები ეროვნულ საკითხზე განვითარა ახალი ისტორიული ამოცანების შესაბამისად, ყოველმხრივ დაამუშავა უმნიშვნელოვანესი დებულებანი ერების წარმოშობისა და განვითარების, ბურჟუაზიულ ერებს შიგნით კლასობრივი ბრძოლისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის საჭიროების, პროლეტარიატის დიქტატურის დროს ერების თანაშშრომლობის, სოციალიზმის დროს ერებისა და ეროვნული კულტურების აყვავების შესახებ.

ლენინიზმმა მაღლა ასწია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის კომუნისტურმა იდეოლოგიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობისათვის ბრძოლაში, გახდა უძლეველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს იდეური საფუძველი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ხალხები შეკავშირდნენ ერთიან და ურღვევ ძმურ ოჯახად, ააშენეს სოციალიზმი და ძლევამოსილად მიდიან წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის წარმატებები, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის გამარჯვება აღფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის, ყველა ხალხს შორის მეგობრული, მშვიდობისმოყვარული ურთიერთობის დამყარებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი ქვეყნის წინათ ჩაგრული, ჩამორჩენილი ეროვნული რაიონები ლენინიზმის დროსის ქვეშ გახდნენ აყვავებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები დიდად განვითარებული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, მეცნიერებით და ლენინური ეროვნული პოლიტიკა ეროვნული ენების, ეროვნული ენების, ეროვნული ენების,

პარიზი. თანხმობის მოედანი.
ფოტო ა. ულენტისა.

ისტორია მოგვითხრობს

საფრანგეთის ისტორია საბჭოთა მეცნიერების შრომებში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა ამ უკანასკნელ ხანს მთელი რიგი საინტერესო ნაშრომები გამოსცა საფრანგეთის ისტორიაში. უწინარეს ყოვლისა ეს არის აკადემიკოს ვ. ვოლგინის მონოგრაფია „საზოგადოებრივი აზრის განვითარება XVIII საუკუნის საფრანგეთში“, რომელიც წარდგენილია ლენინური პრემიის მოსაპოვებლად.

ამას წინათ გამოცემულ კოლექტიურ შრომებს შორის არის — „1871 წლის პარიზის კომუნის ოქმები“, ისტორიისათვის ამ ძვირფასი დოკუმენტების ყველაზე სრული გამოცემა.

პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ცდის დაუშრეტელი თემისადმი მიძღვნილია მეორე კოლექტიური შრომაც — „1871 წლის პარიზის კომუნა“, რომელიც მზადდება წარმოებაში გადასაცემად.

ეს გამოკვლევა ისტორიოგრაფიაში პირველი ცდაა განიხილოს პარიზის კომუნა, როგორც მუშათა საერთაშორისო მოძრაობის განვითარების კანონზომიერი ეტაპი, როგორც ინტერნაციონალური და არა მხოლოდ საფრანგეთის ისტორიის მოვლენა. ამ მიზნით მუშაობაში ჩაბმული არიან სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ფ. პოტიომკინი ამთავრებს მუშაობას ორიგინალურ მონოგრაფიაზე, რომელიც მიძღვნილია საფრანგეთში სამრეწველო გადატრიალების ნაკლებად გამოკვლეული საკითხისადმი.

აკადემიკოსი ვ. ვოლგინი მალე გამოუშვებს წიგნს უტოპიურ კომუნისტურ მოძღვრებათა განვითარების შესახებ XVII-XIX საუკუნეთა საფრანგეთში.

ჩვენს ქვეყნაში პირველად გამოვა ორი კაპიტალური მეცნიერული გამოკვლევა გრაკ ბაბეფის შესახებ.

მალე დამთავრდება შრომები ახალ ისტორიაში. მათ შორის უნდა აღინიშნოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ა. მაზურედის გამოკვლევა. მისი წიგნი განიზოგადებს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის 1929-1935 წლების ურთიერთობის მასალებს პან-ევროპის გეგმებიდან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებამდე.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. პორშნევი ამთავრებს მუშაობას ვრცელ მონოგრაფიაზე 30 წლიანი ომის შესახებ. (საქდესი).

ფრანგული კინოფილმების ჩვენება

კინოთეატრ „თბილისში“ ცნობილი მხატვრული ფილმით „ბატონი ტაქი“ დაიწყო ფრანგული კინოსურათების ჩვენება. ამავე კინოთეატრში უჩვენებენ ფილმებს „ლტოლვილნი“ და „ჩრდილი და სინათლე“.

ქალაქის ფართოეკრანიან კინოთეატრებში — რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერში“, „ამირანში“ უჩვენებენ ფერადი ფილმის „განკიცხულნის“ მეორე სერიას, რომელიც წარმოადგენს ფრანგული, იტალიური და გერმანული (დეფა) ფირმების ერთობლივ დადგმას. მაყურებლებმა ინტერესით ნახეს პირველი სერია.

უკვე მეორე კვირაა, რაც ქალაქის კინოთეატრებს ეკრანებზე დიდი წარმატებით უჩვენებენ სურათს „ნორმანდიანენიანი“. (საქდესი).

შინ, სამშობლოში!

ნიუ-იორკი, 23 მარტი. საკდესის კორესპონდენტები ვ. ბოგატოვი და ვ. კოლოკოლნიკოვი იუწყებიან: როგორც იქნა საბჭოთა ჭაბუკებისათვის, რომლებმაც დაამარცხეს ოკეანე, დადგა ეს სასიხარულო დღე. სამშობლოში გამგზავრების დღე. ახლა დღითიდღე შშობლიური სამხედრო ნაწილი, მეგობრები, შშობლები, ოჯახები, ესოდენ ახლობელნი, მიუხედავად ასეთი დიდი მანძილისა, ყოველ საათში, ყოველ დღე სულ უფრო ახლოს და ახლოს იქნებიან. რამდენიმე დღე რჩება დედასთან — სამშობლოსთან, მოსკოვთან დიდი ხნის ნანატრ შეხვედრამდე. გიგანტური ლაინერი „ეუინ მერი“ სწრაფადმოძრავი ავტომობილის სიჩქარით შინ წაიყვანს ყუნარ ოკეანეზე ოთხ გამარჯვებულს, უბრალო საბჭოთა მეომრებს ა. ზიგანშინს, ი. ფედოტოვს, ფ. პოპლავსკის, ა. კრიუჩკოვსკის.

გამოცოცხლებული და აბმაურებული ცხოვრებაა ნიუ-იორკის ნავსადგურში. ნავსადგურის მრავალ ათეულ პირსთან იტვირთებიან ბევრი ქვეყნის ხომალდები. ქალაქის ცენტრალური ქუჩების პირდაპირ № 90 პირსთან მდინარე ჰუდონზე რკინის გოლიათივით აღმართული საოკეანო ლაინერის შავი კორპუსი. დასასრულს უახლოვდება დატვირთვა. კონვეიერებში ტრიუმებში უკვე გადაიტანეს უკანასკნელი ტვირთი, გემზე ავიდა ასობით მგზავრი. უკანასკნელი წუთებია გამგზავრებამდე.

ლაინერის წასვლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე პირსთან შეიკრიბნენ ამერიკელი და უცხო გაზეთების კორესპონდენტთა დიდი ჯგუფი, რადიოს, დეკაშათა სააგენტოების წარმომადგენლები, მრავალი ფოტორეპორტიორი და კინოოპერატორი.

გმირების გასაცილებლად მოვიდნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში შ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ა. ა. სობოლევი, ბელორუსიის სსრ მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ფ. ნ. გრიაზნოვი, სსრ კავშირის სამხედრო ატაშე ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ი. როდიონოვი, საბჭოთა ადამიანები — ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები.

22 საათზე მოსკოვის დროით ლაინერი ნიუ-იორკიდან გავიდა.

იაროშევიჩი აშშ გაემგზავრა

ვარშავა, 23 მარტი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, 23 მარტს ამერიკის მთავრობის მიწვევით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. იაროშევიჩი.

პ. იაროშევიჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში დარჩება დაახლოებით ორ კვირას. იგი შეხვდება მთავრობის წევრებს ვაშინგტონში და დათვალიერებს მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებსა და ქალაქებს.

ავბედითი ნიშანი

იაპონია-ამერიკის ახალი ხელშეკრულება საფრთხეს უქმნის აზიას

დელი, 23 მარტი. (საკდესი). „იაპონია-ამერიკის ახალი ხელშეკრულება საფრთხეს უქმნის აზიას“ — ყოველკვირეული ჟურნალი „ინდია“ ასეთი სათაურით ბეჭდავს სარედაქციო სტატიას. ჟურნალი მკვეთრად აკრიტიკებს იაპონისა და შეერთებულ შტატებს შორის ამას წინათ დადებულ ეგრეთწოდებულ უშიშროების ხელშეკრულებას და კერძოდ აღნიშნავს: „მაშინ როცა საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად მთელ მსოფლიოში დიდი ღონისძიებანი ხორციელდება და უმაღლესი დონის მომავალ მოლაპარაკებაზე დიდ იმედს ამყარებენ, შეერთებული შტატები და იაპონია ცდილობენ გაძლიერონ დაძაბულობა აღმოსავლეთ აზიაში და კისრულობენ სხვა ქვეყნების დაშინების აგრესიულ როლს. სწორედ ასეთია მიზანი იაპონია-ამერიკის სამხედრო ხელშეკრულებისა, რომელსაც აქვს ქვეთანხმოვანი სახელწოდება — ურთიერთ თანამშრომლობისა და უშიშროების გარანტიის ხელშეკრულება. აზიის ყველა ქვეყანა სერიოზულად შეშფოთებულია იმით, რომ ეგრეთწოდებული კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის ატომური ომის საფრთხე პირდაპირ მათს ზღურბლს მიუახლოვეს“.

შემდეგ ჟურნალს მოჰყავს ცალკეული დებულებანი ხელშეკრულებისა, რომელმაც იაპონია გადაიქცია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოლიგონად და ატომურ ბაზად და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ხელშეკრულება არის მხოლოდ და მხოლოდ აგრესიული სამხედრო კავშირი რუსეთის, ჩინეთისა და იმ ქვეყნების წინააღმდეგ. რომლებიც ბლოკებში არ შედიან ინდონეზიიდან ბირმამდე და ინდოეთამდე“.

„რამდენადაც იაპონიის აბლანდელი მთავრობა ამ პოლიტიკას უჭერს მხარს და ხელს უწყობს ამერიკელ იმპერიალისტებს, — აღნიშნავს „ინდია“, — ჩვენ გვრცხვენია, რომ აზიაში აღმოჩნდა ისეთი მთავრობა, რომელმაც ხელი მოაწერა თავის სუვერენიტეტზე უარისთქმას, ნება დართო უცხოელ ჯარებს ბაზები იქონიონ მის ტერიტორიაზე“.

ჟურნალი შემდეგ ხაზს უსვამს, რომ, იაპონია-ამერიკის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-14 სესიის გადაწყვეტილებებს, არამედ თვით იაპონიის კონსტიტუციასაც და წერს: „ჩვენთვის აზიაში ამ ხელშეკრულების დადება ავბედითი ნიშანია, იმიტომ რომ ეს ნიშნავს იმას, რომ შეერთებული შტატები დაუბრუნდნენ სამხედრო კავშირების შექმნის თავიანთ წინანდელ პოლიტიკას, რომელსაც განსაკუთრებული დალესი ქადაგებდა. ეს კვლავ იმას ნიშნავს, რომ „პროტექტორატების თეორია“, რომელიც ჩვენს პრემიერ-მინისტრს ნერუს არა ერთგზის უარუყვია, კვლავ ჩნდება დასავლეთის სტრატეგიის გეგმებში. სამწუხაროდ ჩვენ ინდოეთში შეეტყვეთ, რომ კვლავ ერთი ქვეყანა — ამჯერად აზიის დიდმნიშვნელოვანი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების ვასალის მდგომარეობაშია ჩაყენებული. იაპონია ხელშეკრულების შესაბამისად წინანდებურადვე ოკუპირებულ სახელმწიფო იქნება, და მისი სუვერენიტეტი გაქარწყლდება.

მდგომარეობა საშიში ხდება, როცა ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ეს ხელშეკრულება გამოყენებულ იქნება იმისათვის, რომ ატომგულისა და ატომური იარაღი შეიტანონ ამ რაიონში. მთელი აზიის ხალხმა, ისევე როგორც ინდოეთის ხალხმა, უნდა აიმაღლოს ხმა ამ შეჭრის წინააღმდეგ, რაც ხორციელდება „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის შესაბამისად.

გლეზოსის სიცოცხლე კვლავ საფრთხეშია

ათენი, 22 მარტი. (საკდესი). საბერძნეთის საზოგადოებრიობა მტკიცე პროტესტს აცხადებს მანოლის გლეზოსის მიმართ საბერძნეთის ხელისუფალთა ახალი თვითნებობის — ათენის საპყრობილე „ევეროფიდან“ კორფუს კუნძულის შორეულ საპყრობილეში მუდმივი პატიმრობისათვის მისი გადაყვანის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს სასამართლოს ჯერ არ დუმთავრებია განხილვა მოთხოვნისა, რომ გაუქმდეს მანოლის გლეზოსისა და სხვა დემოკრატებისათვის სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

პრესაში გამოსაქვეყნებლად გადაცემულ განცხადებაში ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტია პროტესტს აცხადებს კორფუს სისხლის სამართლის საპყრობილეში გლეზოსის გადაყვანის წინააღმდეგ. ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტია ამ გადაწყვეტილებას ახასიათებს როგორც ხელისუფალთა მიმართ ბრძოლა ახლა იწყება. ცხადია, უკანასკნელები მართალი იყვნენ.

მეხუთე პარტიაში კვლავ გათამაშდა კარო-კანის დაცვა. ამჯერად მ. ტალმა აირჩია ძველი თეორიული ვარიანტი, რომლის დროსაც შავებს დიდი სიფრთხილე მართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თეთრებს შეუძლიათ სწრაფად განავითარონ იერიში მეფის წინააღმდეგ.

მ. ბოტვინიკმა ამ პარტიაშიც გამოავლინა დებიუტის სტრატეგიის შესანიშნავი ცოდნა. მან მოამზადა გრძელი როკი. თეთრების იერიშს მეფის ფლანგზე წარმატება არ ჰქონია. პოზიციური უპირატესობა შავების ხელში გადავიდა. ტალი იძულებული გახდა გაეცვალა ლაზიერები. ბრძოლა გადავიდა ენდშპილში, რომელშიც შავების ინიციატივა თანდათანობით იღებდა მრისხანე ხასიათს. მაგრამ ახალგაზრდა გროსმაისტერმა ზუსტი თამაშით შეინარჩუნა წონასწორობა. პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ბოტვინიკმა ჩაიწერა 41-ე სვლა.

დაფაზე ვხედავთ მხედრების ენდშპილს. მ. ტალი ინარჩუნებს ყაიმის შანსებს. პარტიის დამთავრება მოხდება 25 მარტს სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში.

სატურნირო დარბაზში მაყურებელთა შორის ყოველდღე შეხვდებით ხელოვნების წარმომადგენლებს. ზოგიერთი მათგანი ჭადრაკის გულშემატკივარია 1925 წლის საერთაშორისო ტურნირიდან.

მე შევეკითხე სსრ კავშირის სახალხო არტისტს, დიდი თეატრის დირიჟორს ფაიერს, რა აზრისაა იგი ამ მატჩის შესახებ. მან თქვა: მ. ბოტვინიკს ვიცნობ 30 წელია. ხშირად ვყოფილვარ მის ბრწყინვალე წარმატებათა მოწმე. იგი ღრმად დაუფლებულია ჭადრაკის თამაშს. მ. ტალი საშიში მოწინააღმდეგეა, მაგრამ არა მ. ბოტვინიკისათვის.

ვ. რაგოზინი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

მეხუთე პარტია

კარო-კანის დაცვა

მ. ტალი (თეთრები) —
მ. ბოტვინიკი (შავები)

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 d:e 4. მ:e4 კf5 5. მg3 კg6 6. მg1e2 e6 7. h4 h6 8. მf4 კh7 9. კc4 მf6 10. ლe2 კd6 11. კe3 მbd7 12. მgh5 მ:h5 13. მ:h5 ეg8 14. g4 ლc7 15. g5 კg3 16. 0—0—0 0—0—0 17. მg3 h:g 18. კ:g5 კf4+ 19. კ:f4 ლ:f4+ 20. ლe3 ლh6 21. კd3 კ:d3 22. ე:d3 მb6 23. ლ:h6 g:h 24. ეf3 f5 25. ეe1 ეd6 26. c3 ეg4 27. მe2 მd5 28. ეh1 ეd8 29. ეg3 ე:g3 30. f:g ეg8 31. მეd2 ეg4 32. მეe1 მეd7 33. მეf2 ეe4 34. ეe1 მეd6 35. მc1 ე:e1 36. მე:e1 c5 37. მეe2 cd 38. cd მf6 39. მეd3 მh5 40. მc2 e5 41. a4. პარტია გადაიდო ასეთი პოზიციაში:



a b c d e f g h

თეთრები: მეd3, მc2, კ3:a4, b2, d4, g3, h4 (სულ 7);
შავები: მეd6, მh5, კ3:a7, b7, e5, f5, h6 (სულ 7).

ფეხგურთი

საბჭოთა ნაკრების გამარჯვება

გუშინ რედაქცია ჰოლანდიის ქ. დოსში ტელეფონით დაუკავშირდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრს თბილისის დინამოელ ზ. კალოევს. მან გვაცნობა:

საბჭოთა კავშირის საკლუბო ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა ტურნე ჰოლანდიაში. დღეს ჩავატარეთ უკანასკნელი მატჩი ჰოლანდიის ქალაქ დოსში საკლუბო გუნდ დოს-თან. ჩვენი შემადგენლობა ასეთი იყო: იაშინი, სოლდატოვი, კესარევი, კუზნეცოვი, ცარევი, ნეტო, მეტროველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მოსალოვი.

თამაში საბჭოთა ფეხბურთელების შტურმით დაიწყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეტროველი, რომელსაც ამ მატჩის გმირი შეარქვეს. პირველი ტაიმი დამთავრდა საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ 1:0. ბურთი გაიტანა მეტროველმა.

მეორე ტაიმის დასაწყისში პონედელნიკმა ანგარიში 2:0 გახადა, მაგრამ მალე დოს-ის ცენტრალურმა თავდამსხმელმა სპასუხო ბურთი გაიტანა ჩვენს კარში. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კვლავ მეტროველმა ისახელა თავი. მან მესამე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. გავიმარჯვეთ 3:1.

სპარტაკელები ტიანძინში

გრძელდება მოსკოვის სპარტაკელთა ტურნე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. 22 მარტს საბჭოთა ფეხბურთელებმა ტიანძინში გამართეს მორიგი საერთაშორისო შეხვედრა. ამჯერად მათ წინააღმდეგ თამაშობდა ქ. შენიანის გუნდი. ორივე კოლექტივი გამოვიდა ახალგაზრდული შემადგენლობით. მასპინძლებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ცსკ მოს — „ზენიტი“

სოხუმი. 24 მარტი. (სპეც. კორ.). დღეს სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცსკ ტრადიციული სასპორტო კლუბისა და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის.

მატჩი მოსკოველთა უპირატესობით წარიმართა. პირველ ტაიმში მამაკაცნი ხოლო მეორე ტაიმში სტრეშნინ „ზენიტის“ კარში თითო ბურთი გაიტანეს. ცსკ მოს გუნდმა გაიმარჯვა 2:0.

ტურნირი ბათუმი

ბათუმი. 24 მარტი. (სპეც. კორ.). დღეს ბათუმში ერთვარდა საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ნახევარი. დღეს გაიმართა მეათე ტური.

ამ დღეს გათამაშებული ათი პარტიიდან შედეგიანი აღმოჩნდა შვიდი. დ. ჯანიერიმ დაამარცხა გ. ჭანტურია, ა. იბეროშვილმა — პ. არნშტეინი, გ. გამოკელიანმა — ჯ. ბერაძე. რ. შეინცვიტ-ა. ბლაგიძის, ე. დემეტრაშ-ა. თბილაძის, ე. გურსამიანმა — გ. ბუაია და ი. ვეტოხინ-ა. რაზოვსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ქუთაისი. 24 მარტი. (სპეც. კორ.). დღეს გაიმართა ქალთა საჭადრაკო პირველობის მეექვსე ტური.

ოსტატმა გაფრინდაშვილმა ამ დღეს პირველობის გათამაშების ცხრილში მეექვსე ქულა ჩაიწერა. მან დაამარცხა ბუცხრიკიძე. ა. ჩაიკოვსკაიამ მოუგო ჯანაშიას. ნ. ჯანგველაძემ — მ. ლოლაშვილს. პირველი დამარცხება განიცადა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ი. გედენიძემ. მან წააგო შეხვედრა ო. შათირიშვილთან. ვ. კორეშკოვამ. ჩომახიძის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

6 ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილი 6 ქულა აქვს. ა. ჩაიკოვსკაიას — 4,5 ქულა, ქ. გოგიაევას — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ჩომახიძეს — 3,5 ქულა.

სამი მანეთით „მოსკვიჩი“

თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში დაიწყო 1960 წლის პირველი გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მოგებათა მასობრივი გაცემა.

ორი დღის განმავლობაში მარტო თბილისში უკვე ანაზღაურებულია 11.000 სხვადასხვა მოგება. გაცემულ მოგებათაშორის არის ტელევიზორები, მაცივრები, მტვერსასრუტები, სარეცხი და საკერავი მანქანები.

„გუშინ საღამოს თბილისის კალინინის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში „სამეგორწყალმშენის“ ზეინალიევმა მემონტაჟემ ნიკოლოზ მოშენსკიმ წარადგინა ლატარიის ბილეთი № 119, სერია 26148, რომელსაც ხვდა ავტომობილი „მოსკვიჩი“.

საქართველოს რესპუბლიკაში მოგებათა მასობრივი ანაზღაურება გრძელდება. აგრეთვე ეროვნულდება მომდინარე წლის მეორე გამოშვების თელისა და ნივთების ლატარიის ბილეთები.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ჰეგერტის განცხადება

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, გუშინ თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება მთავრობის იმ პოზიციის შესახებ, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წინადადებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის თაობაზე.

თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა ჯეიმს ჰეგერტიმ, შეეხო რა ამ საკითხს პრეს-კონფერენციაზე, განაცხადა, რომ ამ წინადადებას ჯერ კიდევ სერიოზულად განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა.

10 სახელმწიფოს კომიტეტის სხდომაზე ჟენევაში

ჟენევა, 23 მარტი. (საკდესი). დღეს ერთა სასახლეში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა 10 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი სხდომა.

ჟენევა, 23 მარტი. (საკდესი). დღეს 10 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ა. ზორინმა საუზმე გამართა ინგლისის დელეგაციის მეთაურის დ. ორმსბი-ჰორის პატივსაცემად. საუზმის დროს გაიმართა საუბარი საკითხებზე, რომლებსაც კომიტეტში განიხილავენ.

უკანასკნელ საათს

გალეტ „ოტელოს“ დიდი წარმატება

გუშინ, 24 მარტს ლენინგრადელებმა პირველად ნახეს ბალეტი „ოტელო“. „ყიზელისა“ და „მთების გულის“ შემდეგ „ოტელო“ მესამე სპექტაკლია, რომელიც **ვახტანგ ჭაბუკიანმა** დადგა ლენინგრადის ამ ცნობილი საოპერო და საბალეტო თეატრის სცენაზე.

გუშინ გვიან ღამით, ის იყო დამთავრდა „ოტელოს“ პრემიერა, რომ ჩვენი რედაქცია ლენინგრადში კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს დაუკავშირდა. ტელეფონთან ვთხოვეთ სსრ კავშირის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ **ალექსი მაჭავარიანს.**

აი რა განაცხადა მან:

ჩემთვის, როგორც ავტორისათვის, ცოტა უხერხულიც არის იმ მართლა არაჩვეულებრივ წარმატებაზე ლაპარაკი, რომელიც დღეს „ოტელოს“ ხვდა საბალეტო ხელოვნების ამ დიდი კულტურის ქალაქში. თუმცა უნდა ითქვას, რომ „ოტელოს“ ბრწყინვალე შემსრულებელ **ვახტანგ ჭაბუკიანთან** ერთად უაღრესად საგულისხმო წვლილი მხატვარ **ს. ვირსალაძესა** და **ამ თეატრის შესანიშნავ კოლექტივს** მიუძღვის. პირველი აქტიდან ბოლო აქტამდე სპექტაკლმა ბრწყინვალედ ჩაიარა. სცენა თაიგულებით აივსო. როგორც იტყვიან, დარბაზში ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იყო. ბილეთები ერთი თვით ადრე ყოფილა გაყიდული.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დეზდემონასა და იაგოს როლების შემსრულებლები, ახალგაზრდა ლენინგრადელი მსახიობები **ალა ოსიპენკო** და **სერგეი კუზნეცოვი**, რომლებიც ამას წინათ თბილისში იყვნენ საგასტროლოდ ჩამოსული. სპექტაკლის წარმატებას, უთუოდ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ორკესტრს შესანიშნავად უხელმძღვანელა დირიჟორმა **ი. გამალეიმ.**

„ოტელოს“ ასეთი არაჩვეულებრივი წარმატება ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რაოდენ ცხოველმყოფელია ქართული საბალეტო ხელოვნება, რომლის ერთ-ერთი ჭეშმარიტი დამამშვენებელია ჩვენი სახელოვანი ხელოვანი ვახტანგ ჭაბუკიანი.

დიდხანს, ძალიან დიდხანს არ შეწყვეტილა ტაში. რამდენიმე ათასი მაყურებელი თითქმის ოც-ოცდაბუთ წუთს ოვაციას უმართავდა სპექტაკლის მონაწილეებს.

როგორც გადმომცეს, ამ ცოტა ხანში ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი იაპონიაში მიემგზავრება საგასტროლოდ. თეატრს ერთ-ერთ სპექტაკლად ბალეტი „ოტელო“ მიაქვს. მთავარ როლს კვლავ ვახტანგ ჭაბუკიანი შეასრულებს.

25 მარტი

თბილისის თეატრებსა და კინოებში

ოპერისა და ბალეტის — წითელქუდა (დღისით), რუსთაველის სახელობის — ყვარყვარე თუთაბერი (დღისით), ისინი შეხვდნენ ერთმანეთს (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — ჩარლის დეიდა (დღისით), ჩემი ყვავილეთი (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — შორეული გამოძახილი (დღისით), ჭიქა წყალი (საღამოს), მუსიკალური კომედიის — ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს (დღისით), ჭირვეული ქმრის მორჯულება (საღამოს, რკინიგზელთა სახლში), სანეულტურის — ცირუ, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ამბავი ორი ბიჭისა (აპონ. № 13, 11 ს., აბონ № 23, 2 ს.), თოჯინების ქართული — სიცოცხლის ყვავილი (11 ს.), ყურშა (2 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი — განკიცხულნი (მეორე სერია), **ინსტიტუტი, სპორტაკი, კომკავშირელი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ივანი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი) — მწვანე ფორანი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — დანაშაულის ადგილიდან ბერლინი, **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, თანამგზავრი** — თეთრი ღრუბელი, **კიროვის სახელობის პარკი. კომუნარების ბაღი** — ნორმანდია-ნიემანი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საბამთრო და საბაფხულო), **დიდუბე** — მეზღვაური ნაპირზე გადმოდის, **ოფიცერთა სახლი** — კაპიტანის ქალიშვილი, **კოლმეურნე** — სიუი ციუ-ინის საქმე, **უაზბეგი** — ბერძნული კინოფილმების ჩვენება, **თბილისი** — უსაქმურთა სკოლა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — საზღვარგარეთული ფილმი.

* * *

ტელევიზია

14.00 — „ფანქარას გამოფენაზე“, 14.20 — მხატვრული ფილმი „ტრუბაჩოვის რაზმი იბრძვის“.

19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ი. ტურჩინინი „უცნაური სასამართლო“, (მოსწავლეთა სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი), 19.35 — კინონარკვევი, 20.15 — გადაცემა „ლენინი და მაიაკოვსკი“, 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — უკანასკნელი ცნობები, 20.50 — ახალი მხატვრული ფილმი „პატარა კუნძულზე“.

მატჩარებლები უფრო სწრაფად ივლიან

გზათა სამინისტრომ შეადგინა სამგზავრო მატარებლების მოძრაობის გრაფიკი 1960 წლის ზაფხულისათვის. ამასთან დაკავშირებით სამინისტროს მთავარი სამგზავრო სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა მ. ვ. ვასილიევმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— მოძრაობის ახალი გრაფიკი ითვალისწინებს მგზავრთა გადაყვანის შემდგომ ზრდას. ბევრ მიმართულებაზე, რომლებიც კავშირებენ დიდნიშვნელოვან ეკონომიურ რაიონებს. აგრეთვე მოსკოვსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებს ყირიმისა და კავკასიის კურორტებს, გამოყოფილია დამატებითი მატარებლები.

რკინიგზებზე იზრდება მოძრაობის სიჩქარე. მოსკოვიდან — კიევის, მინსკის. მურმანსკის მიმართულებით ივლიან სპეციალური მატარებლები გაზრდილი სიჩქარით; ამ მატარებელთა შემადგენლობაში იქნება მხოლოდ კუპირებული, რბილი და საერთაშორისო ვაგონები. მოსკოვ-კიევის მატარებელი. მაგალითად. გზას გაივლის მხოლოდ 12 საათში, ერთხელ შეჩერდება ბრიანსკში. ამ ხაზს მოემსახურება ახალი სამგზავრო თბომავლები „ტე-7“.

შეცვლილია მოსკოვ-მურმანსკის მატარებლის სვლის მარშრუტი. ახლა ეს მარშრუტი გაივლის ლენინგრადს, ნაცვლად წინანდელი ჩუდოვო-ვოლხოვშენისა.

მოსკოვსა და კურსკს შორის სამგზავრო მატარებლებს წაიყვანენ ჩეხოსლოვაკიის ელმავლები „ჩს-1“. ცალკეულ მონაკვეთებზე ეს მატარებლები განავითარებენ საათში 100 კილომეტრზე მეტ სიჩქარეს.

გაიზრდება საგარეუბნო მატარებლების მოძრაობაც. მარტო დედაქალაქის ცხრა ვაგზლიდან ყოველდღიურად წავა 180 მატარებლით მეტი, ვიდრე გასული წლის ზაფხულში. მოსკოვის რკინიგზის კვანძის ზოგიერთ მიმართულებებზე ივლიან ახალი კომფორტაბელური ელექტრომატარებლები „ერ-1“, რომლებიც საათში განავითარებენ 130 კილომეტრამდე სიჩქარეს. საგარეუბნო მატარებლების რაოდენობა გაიზრდება აგრეთვე ლენინგრადის, რიგის, კიევის, ხარკოვისა და სხვა ხარკინიგზო კვანძებზე, აგრეთვე კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე.

ახლა საბჭოთა კავშირის დედაქალაქი პირდაპირი ხარკინიგზო მიმოსვლით უკავშირდება 18 სახელმწიფოს დედაქალაქებს — ბერლინს, ბუდაპეშტს, ბუქარესტს, ბელგრადს, ვარშავას, ვენას, პრაღას, პეკინს, ფხენიანს, სოფიას, ულან-ბატორს, ჰელსინკს, თეირანს, აგრეთვე საერთაშორისო კურორტებს ვარნას (ბულგარეთი) და კარლოვი ვარს (ჩეხოსლოვაკია). მომდინარე წლის ზაფხულში გაიხსნება ორი ახალი პირდაპირი ხარკინიგზო ხაზი — მოსკოვი-პარიზი და მოსკოვი-ბუკ-ვანჰოლანდი (ჰოლანდია); ამ უკანასკნელ ხაზზე მოძრაობის განრიგი ისეა შედგენილი, რომ მოსკოვიდან ბუკ-ვანჰოლანდში ჩასულ მგზავრს შეეძლება იქვე გადაჯდეს სხვა ვაგონში და პირდაპირ გაეშგზავროს ლონდონს.

კიდევ ერთი ახალი საერთაშორისო ხარკინიგზო ხაზი გაიხსნება მომდინარე წელს. ეს ხაზი უმოკლესი გზით დააკავშირებს ვარშავასა და ბუქარესტს საბჭოთა კავშირის გავლით. (საკდესი).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და სა